ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 8 თებერვალი 1997 №14 (379) ფასი 40 თეთრი

## დაადგა საშველი!

**დღეს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდის ახალ მწვრთნელს დანიშნავს. დიდი შანსია, 80-იანი წლების თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა ნაკრების მცველ ალექსანდრე ჩივაძის ადგილი 70-იანი წლების ასევე „დინამოს“ და საბჭოთა ნაკრების ასევე მცველმა რევაზ ძოძუაშვილმა დაიკავოს. ვნახოთ.**



როგორც იქნა, დაგვადგა საშველი და ფეხბურთის ფედერაციამ აღმასკომის სხდომის ჩატარება გადაწყვიტა. აღმასკომის ყველა წევრი დღეს, 14 საათზე შეიკრიბება ფედერაციაში. აღმასკომის დღევანდელი სხდომა იმით იწვევს ცხოველ ინტერესს, რომ ბოლოს და ბოლოს დაინიშნება ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი. საქართველოს ნაკრების მეთაურობის კანდიდატებზე საკმაოდ ვწერეთ, ხუთივე მათგანის სამწვრთნელო დამსახურებანიც გაგახსენეთ და ახლა მათი გამეორებით თავს არ შეგაწყენთ. ერთმა ღმერთმა იცის, დღეს რა მოხდება, მაგრამ ჩვენ ჩვენსას მოგახსენებთ: ხუთი კანდიდატიდან ფედერაციას გზადაგზა თითქმის ყველა შემოეცალა. ზოგმა კლუბში მუშაობა ირჩია, ზოგმაც კენჭისყრაში მონაწილეობა ითაკილა, ზოგიც თბილისში სულ არ ჩამოვიდა. ამჟამად ნაკრების თავკაცობა უდიდესი ტვირთის აკიდების ტოლფასი რომ გახლავთ, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ მაინც გამოჩნდა კაცი, რომელმაც შიში და რიდი გვერდზე გადასდო და, ამ უდიდეს პასუხისმგებლობას მე ვიტვირთებო, საჯაროდ განაცხადა. მე თანახმა ვარ, ჯერი ფედერაციაზეაო — მიუკიბ-მოუკიბავად თქვა რევაზ ძოძუაშვილმა და გულშემატკივრებს მინავლული იმედიც გაუღვიძა — რატომ გგონიათ, რომ საფრანგეთში წასვლის შანსი დავკარგეთ, ჩემს მიერ წაყენებულ პირობებს თუ შემისრულებს ფედერაცია, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშებთო. საკმაოდ თამამი განცხადებაა, მაგრამ ფაქტი კია.

რატომ გადაწყვიტა ფედერაციამ ასე ნაუცბათევად აღმასკომის სხდომის წვევა, ძნელი სათქმელია. ნაუცბათევადო, იმიტომ ვამბობთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ფედერაციის პრეზიდენტს დავეკითხეთ, როდის გაიმართება აღმასკომის სხდომაო. ბატონმა ნოდარმა მოკლედ გვიპასუხა, აღმასკომი არ ჩატარდებაო. მერე უცებ ყველაფერი შეიცვალა. ამ საკითხის თაობაზე ქალაქში ასეთ მოსაზრებას მოისმენთ: 15 თებერვალს ახალკაცი თურქეთში მიემგზავრება უეფას ტექნიკური კომიტეტის მორიგ სამუშაო სხდომაზე დასასწრებად, იქიდან დაბრუნება ათიოდე დღით შეყოვნდება, დრო კი აღარ ითმენს, უემბლისკენ გამგზავრების ჟამიც ახლოვდება და ნაკრებს მომზადება უნდაო. მეორე ვერსიის თანახმად, ფედერაციას საფიქრალიც არაფერი დარჩენია — მხოლოდ ერთი კანდიდატია, რომელიც ნაკრების მწვრთნელობაზე და ფედერაციასთან თანამშრომლობაზე თანხმობას აცხადებსო. თუ ფეხბურთის ფედერაციაში მოარულ ხმებს ვერწმუნებით, ნაკრების თავკაცი რომ რეზო ძოძუაშვილი იქნება, ამას წყალი არ გაუვა.

მოკლედ, ასე იქნება თუ სხვაგვარად, ამას დღეს შევიტყობთ. აღმასკომის სხდომა კი დღეს ნამდვილად გაიმართება, რაც ფედერაციის პრესცენტრმა დაგვიდასტურა. ეს ამბავი იქიდანაც ვიცოდით, რომ ფედერაციამ აღმასკომის წევრები გუშინვე გააფრთხილა, 8 თებერვალს 14 საათზე ყველანი აქ იყავითო. აქვე, ბარემ, აღმასკომის კიდევ ორი წევრის ამბავსაც გაცნობებთ: ერთი თელავიდან არის, მეორე ფოთიდან — თემურ ხოხობაია.

საბოლოოდ ასეა: დღეიდან ჩვენს ეროვნულ გუნდს ახალი თავკაცი ეყოლება და აღმასკომი თავის მიერ დამტკიცებულზე არანაკლებ პასუხისმგებლობას იტვირთებს. პასუხი აწი მასაც მოეთხოვება.

## ახლოვდება ტიტანთა ბრძოლა

„უემბლიზე“ საგონებელში ჩავარდნენ. ევროპის უამრავ ჟურნალ-გაზეთსა და სააგენტოს სურს ოთხშაბათს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის უმნიშვნელოვანეს მატჩზე საკუთარი რეპორტიორი მიავლინოს. მოთხოვნა პრესლოჟაში ადგილების რაოდენობას საგრძნობლად აღემატება. „სარბიელს“ გაუმართლა. ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტი დავით მჭედლიშვილი იმ დღეს სტადიონზე იქნება.

მომავალი დიდი ბრძოლის მთავარი მოქმედი პირნი კი თავიანთ ბანაკებში ემზადებიან. „სკუადრა აძურა“ ფლორენციაში გამაგრდა. იტალიელთა პრესკონფერენციებიდან ერთი უმთავრესი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ძირითად თავსატეხად სწორი ტაქტიკის შერჩევა მიუჩნევიათ.

— ინგლისური ფეხბურთი წარსულის სტერეოტიპებს აღარ ეთანადება. მათი თამაში მხოლოდ გრძელ პასებზე აღარაა აგებული. დღევანდელი ინგლისელები გაცილებით ორგანიზებულნი არიან და ძირითადად, სულ მეტად და მეტად, ფიზიკურ მომზადებას ეყრდნობიან. „ჩელსი“, „ნიუკასლი“ და „ლივერპული“ სრულყოფილ თამაშს ესწრაფვიან, ხოლო ის, რომ საერთაშორისო მიღწევა დიდი ხანია არ ჰქონიათ, სრულიად არაფერს ნიშნავს. — თქვა „აძურას“ მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ და დასძინა — თუ „უემბლიზე“ მხოლოდ თავის დასაცავად გავალთ, ინგლისელები გაგვანადგურებენ, საკუთარ საჯარიმოს მიგვაბამენ. ამიტომ გარდა საკუთარი კარის უსაფრთხოებისა, შეტევაზეც უნდა ვიფიქროთ. უნდა ვიმოქმედოთ ისე, ასეთ მდგომარეობაში იტალიელები ტრადიციულად რომ ვმოქმედებთ ხოლმე.

მალდინი, ზოგადად, იტალიური „კატენაჩოს“ მიმდევრადაა ცნობილი, მაგრამ ისიც ყოფილა, რომ თავისი 21 წლამდე ნაკრები, რომელიც სამჯერ ზედიზედ ევროპის ჩემპიონი გახადა, ზონური დაცვით მიუყვანია გამარჯვებამდე. ასეთ დროს ტრადიციული ლიბეროს წინ ორი სტოპერი გამოჰყავდა ხოლმე.

„აძურას“ თავკაცს ჯერ არ გადაუწყვეტია, ინგლისელებს რა განლაგებით დაუპირისპირდება: 5-2-1 თუ 4-2-2.

— ამიტომაც გამოვიძახე ენრიკო კიეზა. მახსოვს, „კრემონეზეში“ თამაშის დროს იგი ფრთაზე მოქმედებდა და ახლა, საჭიროების შემთხვევაში, იუვენტუსელი ანჯელო დი ლივიოს ალტერნატივად მესახება — თქვა მალდინიმ.

თავიანთი აზრი ფეხბურთელებმაც გამოთქვეს. ინგლისში, „ჩელსიში“ მოთამაშე რობერტო დი მატეომ და ჯანფრანკო ძოლამ მთავარ ხიფათად პოლ გესქოინი მიიჩნიეს. დი მატეო გაზას სხვებზე უკეთ იცნობს, მათ „ლაციოში“ სამი წელი აქვთ ერთად გატარებული.

— როცა კარგ ფორმაშია, პოლი დიდებული ფეხბურთელია — თქვა რობერტომ — მას საოცარი უნარი აქვს გუნდის თამაშს სხვა ელფერი შესძინოს. იტალიაში თამაშის დროს მას ნიჭის სრულყოფილად გამომჟღავნება გაუჭირდა, რადგან იღბალმა ზურგი აქცია, ტრავმებმა კი დატანჯეს, მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით მისი შესაძლებლობები. თუ „უემბლიზე“ ვერ ითამაშებს, ჩვენთვის უკეთესი იქნება.

— მე გესქოინის ფეხბურთი ძალიან მომწონს — კვერი დაუკრა თანაგუნდელს ჯანფრანკო ძოლამ — როდესაც ის იტალიაში იყო, მის წინააღმდეგ რამდენჯერმე ვითამაშე და კარგად ვიცი, რომ მეტად ძლიერი ფეხბურთელია. როცა კარგ ფორმაშია, საკუთარ თავსა და თანაგუნდელებს ჩინებულ შესაძლებლობებს უქმნის. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ინგლისელებს სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავთ, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ შეხვედრაში მთავარ როლს შეასრულებენ. მაგალითად შირერს დავასახელებდი და აგრეთვე მაკმანამანს, რომელსაც თითქოსდა გამოუვალ სიტუაციებში თამაშის შეცვლა სძალუძს. ჩვენ კარგად ვიცით მეტოქის ვარსკვლავთა ავან-ჩავანი და პატივს ვცემთ მათ. იმედი მაქვს, რომ ჩვენს გუნდშიც არიან ისეთი მოთამაშეები, ინგლისელთა პატივისცემას რომ იმსახურებენ.

ალბიონზე კი სხვა თავსატეხი აქვთ. ოთხშაბათის მატჩის მასპინძლები ვედრებით შეჰყურებენ ნაკრების ექიმს ჯონ კრეინს, ფსიქოთერაპევტებს ალან სმიტსა და გარი ლევინს და მასაჟისტ სტივ სლეტერის, საიმედო ცნობებს ელიან.

პოლ გესქოინის კოჭის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია.

— მისი მონაწილეობა ჯერ კიდევ სათუოა, რადგან სულ ახლახანს მოიხსნა თაბაშირი. ორიოდ დღის მოცდა სჭირდება. მე მას ცალკე, ოცი წუთის განმავლობაში ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ მხნეობა არ დაუკარგავს, ბევრი ასპექტით საუცხოოდაც გრძნობს თავს. საქართველოში რომ წავიყვანე და ვათამაშე, ვიმედოვნებდი, რომ დამიფასებდა. ასეც მოხდა — ბრძანა ინგლისელთა თავკაცმა გლენ ჰოდლმა.

გესქოინის გარდა პაციენტთა შორის არიან დევიდ სიმენი, პოლ ინსი, ტონი ადამსი და ალან შირერი.

რიგრიგობით: „არსენალის“ მეკარეს დევიდ სიმენს მუხლი აწუხებს. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, უნდა ეთამაშებინა თუ არა კლუბის მწვრთნელს არსენ ვენგერს იგი თასის ბოლო თამაშში „ლიდსის“ წინააღმდეგ. ამის შესახებ ვენგერმა განაცხადა: — მისი ტრავმა არც იმდენად სერიოზულია. ვფიქრობ რამდენიმე დღიანი დასვენება სრულიად გამოაჯანმრთელებს.

შირერი, ჰოდლმა ისევ კაპიტნად რომ ირჩია, ზურგის ტკივილს უჩივის, პოლ ინსი ბარძაყს იტკიებს, რობერტ ლი საზარდულს, ტონი ადამსს კი, გაზასი არ იყოს, კოჭის საქმე აქვს ცუდად.

— ძლიერ გულდასაწყვეტია. ამ მატჩს სამი თვე ველოდი და მთელი გეგმა ამერია. ხუთ-ექვს ფეხბურთელს, იძულებული ვარ, ორი-სამი დღით ნება დავრთო, რომ არ ივარჯიშონ, რათა ტრავმები მოიშუშონ. არადა გონებაში ყველაფერი დალაგებული მქონდა, შედგენილი იყო ტაქტიკური და ფიზიკური ვარჯიშების გეგმა. პარასკევს და შაბათს მეტად მნიშვნელოვანი ვარჯიშების ჩატარებას ვაპირებდი. ახლა კი სცენარი ამერია — დაიჩივლა ჰოდლმა, რომელსაც ეჭვით ჰკითხეს, ტრავმებზე ამდენი წუწუნი მეტოქის თავგზის ასარევად ხომ არ გჭირდებათო.

— ნეტავ ასე იყოს. სამწუხაროდ, ტრავმები მართლა გვაწუხებს. გარდა ამისა, ჩვენ ასეთ ხერხებს არასდროს მივმართავთ ხოლმე — უპასუხა ინგლისელთა მწვრთნელმა.

## ბორჯღალოსნები საფრანგეთში გამოიზამთრებენ

საქართველოს რაგბის ნაკრები დღეს ფრანკფურტის თვითმფრინავს საფრანგეთისკენ გაყვება, შინ კი გაზაფხულის პირზე — 26 თებერვლის შუაღამესღა დაბრუნდება. ჩვენი „ბორჯღალოსნების“ ხანგრძლივი მოგზაურობის მიზანთა-მიზანი ფირა-ს პირველობის საჩემპიონო ნახევარფინალისთვის მომზადებაა. ეს თამაში 20 აპრილს გაიმართება ლისაბონში. იქ საქართველო პორტუგალიას ეწვევა.

ქართველ მორაგბეებს საფრანგეთში ბევრი მოკეთე ჰყავთ, მათ შორის იქაურ რაგბის ფედერაციაშიც. სწორედ მათი წყალობითაა, რომ ნაკრებს მშვენიერი სავარჯიშო პირობები ექნება და სპარინგ-პარტნიორებიც ძლიერი ეყოლება: ე.წ. ფირა-ს ნაკრები, 20-გუნდა პირველი დივიზიონის კლუბები „ბეზიე“ და „დიჟონი“ და კიდევ ორი სხვა კლუბი. ფირა-ს ნაკრები მომავალი ფრანგი ვარსკვლავებისგან შედგება და ქართველებს ეროვნული ნაკრების ფორმაში გამოწყობილი ეთამაშება. ეს მატჩი პარასკევს, 14 თებერვალს პარიზში გაიმართება და ერთგვარი პრელუდია იქნება ხუთი ერის პირველობაზე საფრანგეთი — უელსის შაბათის შეხვედრისთვის.

ქართველთა დელეგაცია 36-კაციანია. მას რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე თავკაცობს. გუნდს ახლავს კავშირის გენერალური მდივანი გია კუბლაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი კი გუნდს საფრანგეთში დაუხვდება.

„ბორჯღალოსნებს“ კვლავინდებურად წვრთნიან გურამ მოდებაძე (გუმარი), დავით კილასონია და მალხაზ ჭეიშვილი (ყოჩები). ექიმია დავით სერგეენკო. მოთამაშე 27-ია. სამი მათგანი გუნდს საფრანგეთშიღა დაემატება.

ოქტომბერში რუსთა მძლეველი შემადგენლობა საფრანგეთში თითქმის უკლებლივ წარდგება: 15 ნიკო იურინი (პენზა, რუსეთი); 14 მერაბ ბესელია (გუმარი); 12 კახა ალანია (ქორები) და ლევან ჩიქვინიძე (გუმარი); 11 არჩილ ქავთარაშვილი (როვიგო, იტალია) და გიო ბუგიანიშვილი (გუმარი); 10 კახა მაჩიტიძე (გუმარი); 1 მევლუდ მთიულიშვილი (გუმარი) და გელა ფირცხალავა (აია); 2 დიმა ობოლაძე (გუმარი, კაპიტანი); 3 ლევან ცაბაძე (გუმარი); 4 ვანო ნადირაძე (გროლიო, საფრანგეთი); 5 გია რაფავა (მატორრუ, საფრანგეთი); 6 ზაზა ლეჟავა (ყოჩები); 7 გია ლაბაძე (პენზა); 8 გია გიუნაშვილი (ქორები) და კახა კობახიძე (გუმარი).

რუსთა მჯობნთაგან ნაკრებს აკლიან: 13 პავლე ჯიმშელაძე (გუმარი), 9 შოთა მოდებაძე (გუმარი), 5 სოსო პარწიკანაშვილი (გუმარი) და 1 ირაკლი ჩიქავა (ყოჩები). ჯიმშელაძე არა-სარაგბო მიზეზთა გამო ერთი ხანობა კიდევ ვერ ითამაშებს, პარწიკანაშვილსა და ჩიქავას მწვრთნელებმა ამჯერად სხვები ამჯობინეს, მოდებაძე კი სამ ჯეელ მორკინალთან — ალეკო ლიბრაძესთან (ქორები), რატი ურუშაძესთან (ყოჩები) და ზურაბ მჭედლიშვილთან (გუმარი) ერთად თიმარუდან (სამხრეთი ქენთებრი, ახალი ზელანდია) კარგა ხანია ელის მიწვევას. რაკი ამ საბუთმა გვარიანად დაიგვიანა, ნაკრების კაპიტანმა ობოლაძემ დღევანდელი კვერცხი ამჯობინა ხვალინდელ ქათამს და ზელანდიაში წამსვლელთა სიიდან საფრანგეთისაში გადაეწერა.

დელეგაციის დანარჩენი ცხრა მოთამაშიდან ოდენ ორია ახალბედა — 12 სანდრო ჩხენკელი (ქორები) და 14 ვასიკო კაცაძე (ქორები). ეს ბიჭი წინათ ხელბურთელი ყოფილა, ნაკრების მწვრთნელები კი ქართველ ლომუდ ამზადებენ. სხვა აღდგენილთა სია ასეთია: 13 პაატა ძოწენიძე (აია); 10 ბესო ტეფნაძე (ყოჩები); 9 შალვა ჯანელიძე (გუმარი) და ზაზა ხუციშვილი (გუმარი); 6-8 რეზო ჯაფარაშვილი (ქორები), დავით ვართანიანი (ქორები), ვიქტორ დიდებულიძე (გუმარი) და ნიკა აბდალაძე (აია).

ერთი სიტყვით, ქვეყნის ჩემპიონ „გუმარს“ ნაკრებში 11 წარმომადგენელი ჰყავს, „ქორებს“ — 6, „აიას“ — 3, „ყოჩებს“ — 2. ხუთი მორაგბე უცხოეთში თამაშობს. მოსალოდნელია მთიულიშვილისა და ცაბაძის საფრანგეთში დარჩენაც. გარდა ამისა, ჩვენებს შეიძლება მიაკითხონ მავანი ბრიტანული საშუამავლო ფირმის აგენტებმა და ინგლისისა და უელსის მოწინავე გუნდებში გასასინჯად წაასხან.

**ზურაბ ხელაშვილი**

## დევაძეს ამოისუნთქა

ალთქმულ მიწაზე სანატრელ თავისუფლებას ელირსა საქართველოს ნაკრების წევრი აკაკი დევაძე. იგი რამდენჯერმე გაემგზავრა ისრაელში კლუბის მოსაძებნად და ბოლო გამგზავრებამ შედეგიც მოუტანა — ამ ქვეყნის უმაღლესი ჯგუფის ერთ-ერთ გუნდს (რომლის სახელწოდება ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ) „როსტსელმაშისთვის“ დევაძის სატრანსფერო თანხა გადაუხდია.

## სეფაშვილმაც კიკლის მიაკითხა

რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკმა“ მესამე ქართველიც შეიმატა თამაზ კოკლიაშვილისა და მალხაზ მახარაძის შემდეგ — ტოლიატის „ლადას“ ყოფილი ფორვარდი ვასილ სეფაშვილი. ნიჟნეკამსკელები ახლახან დაბრუნდნენ ესპანური შეკრებიდან და როგორც გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ იუწყება, 11 ახალწვეულიდან გუნდის მთავარ მწვრთნელს მხოლოდ შვიდი ფეხბურთელი დაუტოვებია. მათ შორის არაა ნახსენები ბათუმელი მალხაზ მახარძე, მაგრამ სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ მალხაზს წინასწარი კონტრაქტი უკვე გაუფორმებია და „ნეფტეხიმიკს“ იტალიაში მოსამზადებლადაც გაჰყვა. ასე რომ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ვასილ სეფაშვილი, ვინაც საქართველოს ნაკრებშიც ითამაშა რამდენიმე მატჩი, „ნეფტეხიმიკის“ მესამე ქართველია.

## კახელები ზღვაზე

„კახეთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონი ჯანელიძემ გვაცნობა, რომ თელაველები 20 თებერვლიდან 7 მარტამდე შავზღვისპირეთში, მალთაყვის სპორტულ კომპლექსში გაივლიან მეორე წრისთვის მზადების ბოლო ეტაპს. თელაველებს საკონტროლო შეხვედრებისთვის პარტნიორებიც შეურჩევიათ: 23 და 27 თებერვალს „ბათუმთან“ ითამაშებენ, 25-ში „კოლხეთთან“, 4 მარტს „მერცხალთან“. ჯანელიძის თქმით, კახეთის რეგიონის ხელმძღვანელებს გუნდისთვის საჭირო თანხა გამოუნახავთ და იანვრის ჩათვლით დავალიანებაც გაუსტუმრებიათ.

## დინამო თელასთან პირნათელია

ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობის თაობაზე, დილმის ბაზა თელასის მევალეა და მისი 56 000 ლარი მართებსო, „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ ეს გვითხრა:

— საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 21 ივნისის № 251 ბრძანებულებით სპორტულ ნაგებობებს კომუნალურ გადასახადებში შეღავათები ენიჭებოდათ და დილმის ბაზის ვალი თბილისის მერიას უნდა გაესტუმრებინა. ბრძანებულება ძალაში იყო 1996 წლის 1 მარტამდე. ამ ვადის შემდეგ ჩვენ თელასთან პირნათლად ვართ — ყველაფერს ვიხდით. ასე რომ, უახლოეს დღეებში გავარკვევთ, რამდენად მართებულია ზემოაღნიშნული ცნობა და შესაბამისად ვიმოქმედებთ.

## გუჯაბიძეს გაიღვიძა

დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ ისრაელში შეკრებაზე კიდევ ერთი ქართველი — გოჩა გუჯაბიძე გაჰყვა, რომელიც „როსტსელმაშში“ კი ირიცხება, მაგრამ I წრეში საქართველოს ჩემპიონატის II ჯგუფში თბილისურ „კოდაკოში“ თამაშობდა. დარჩება თუ არა გოჩა კლასონიებთან ერთად, „დნეპრის“ მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი შეკრების შემდეგ გადაწყვეტს. შეგახსენებთ, რომ „როსტსელმაში“ გუჯაბიძეში 40 000 დოლარს ითხოვს.



## დინამო თურქმენბაშის თასზე

თურქმენეთის პრეზიდენტის საფარმურატ ნიაზოვის თასის გათამაშებაზე აშხაბადში თბილისის „დინამო“ 9 თებერვალს გაფრინდება. 10-ში ტურნირის საზეიმო გახსნაა, 11 თებერვალს, კი ჩვენს ჩემპიონს უკრაინის „პოლტავასთან“ ელის შეხვედრა. ორი დღის შემდეგ „დინამო“ ირანის ჩემპიონს — „ფირუზს“ შეხვდება, 15-ში — ლენინგრადის „ზენიტს“, 17 თებერვალს კი სემიპალატინსკის „ელიმაის“. თუ ამ ქვეჯგუფში „დინამომ“ პირველი ადგილი დაიკავა, 19 თებერვალს კი მეორე ქვეჯგუფის გამარჯვებულს შეებრძოლება ფინალში, მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში მეორე ქვეჯგუფის მეორე გუნდს ტურნირის მესამე ადგილს შეეცილება. დინამოელები შინ 20 თებერვალს დაბრუნდებიან, ორი დღე დაისვენებენ და ზუგდიდის „ოდიშთან“ გამოტოვებული მატჩისთვის მზადებას შეუდგებიან. თურქმენულ ტურნირზე, მოსკოვის ტურნირისგან განსხვავებით, საპრიზო 150 000 დოლარი მხოლოდ პირველ სამეულზე განაწილდება.

## იტალიელები არანაკლებ წუხან

„სარბიელი“ უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ თაოსნობით თბილისში მოიწვიეს იტალიური ფირმა „ფინევრო კონსულტინგის“ წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენი ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციას კისრულობენ. დღემდე არსებული ვითარების შესახებ მკითხველმა ბევრი რამ უკვე იცის: მთავარია, რომ გაირკვეს სტადიონის რეალური მეპატრონე, რომელთანაც იტალიური მხარე საქმეს დაიჭერს და მხოლოდ შემდეგ დაიწყება სტადიონის განახლება.

ისევე, როგორც ადრე, ამჯარადაც სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველს სპორტის საკითხებში ბოტონ ეზეკი ინწკირველს მივმართეთ, რადგან სწორედ მას აბარია ამ საქმის ზედამხედველობა.

— 4 თებერვალს სახელმწიფო მინისტრთან შედგა შეხვედრა, რომელსაც ყველა დაინტერესებული მხარე ესწრებოდა. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ეროვნული სტადიონი ამჟამადაც ყოფილ სპორტსაზოგადოება „დინამოს“, აწ უკვე სპორტკლუბ „დინამოს“ ბალანსზეა, მას კი უსახსრობის გამო სტადიონის შენახვა არ შეუძლია. ამიტომაც საჭიროა, მოხდეს სტადიონის ნაციონალიზაცია, რათა შესაძლებელი გახდეს მისი აქციონირება. ამას თვითონ სპორტკლუბმა „დინამომაც“ დიდი მონდომებით დაუჭირა მხარი, რადგან საშუალება მიეცემა სპორტის სხვა სახეობები — კალათბურთი, ცურვა და ტანვარჯიში განავითაროს.

თათბირს სპორტკლუბ „დინამოს“ წარმომადგენელთა გარდა სხვა დაინტერესებული მხარეებიც ესწრებოდნენ. საფეხბურთო კლუბ „დინამოს“, თბილისის მერიის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სტადიონის დირექციის წარმომადგენლებმა მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას, დროულად შეათანხმონ თავიანთი წილობრივი მონაწილეობა. მანამდე კი გასარკვევია სტადიონის ღირებულება, რაც არქიტექტორების მეშვეობით და არქივის მასალებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

თათბირში თავიდანვე მონაწილეობს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე სოსო კიტოვანი, რომელიც არეგულირებს აქციონერად გახდომის მსურველთა ურთიერთობებს.

**— საბოლოოდ როდის გაირკვევა მეპატრონეთა საკითხი და როდის დაიწყება რეკონსტრუქცია?**

— სხვათა შორის, საქმის სწრაფად დაწყებაში იტალიელები დიდად არიან მონდომებულნი, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ამ პროცესის დაჩქარებას ითხოვენ.

მოგეხსენებათ, სტადიონის რეკონსტრუქცია, მეტადრე კი განათების მოწესრიგება და ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს, 1998 წლიდან უეფამ ჩვენს სტადიონზე საერთაშორისო მატჩების გამართვა რომ არ აკრძალოს.

მომავალ კვირაში უკვე მზად იქნება პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი სტადიონის ნაციონალიზაციის და აქციონირების შესახებ. სამუშაო დიდია და მოსასწრებად საკმაოდ ძნელი, მაგრამ თუ ჩვენი მხრიდან დაბრკოლება არ იქნა, იტალიელები წლის ბოლომდე საქმის ერთი ეტაპის დამთავრებას კისრულობენ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## საქართველოში ულიცენზიო მწვრთნელები ვეღარ გაიჭაჭანებენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა B კატეგორიის სერტიფიკატი გადასცა იმ 15-მწვრთნელს, რომლებიც 13 დეკემბრიდან 2 თებერვლამდე ფედერაციაში ჩატარებულ მწვრთნელთა სემინარებს ესწრებოდნენ. ჩვენ ვესაუბრეთ ფედერაციის მწვრთნელთა მეთოდური ჯგუფის ხელმძღვანელს გაიოზ დარსაძეს, რომელიც სემინარს უძღვებოდა.

— სემინარის ჩატარების მიზანი ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელთა კვალიფიკაციის და ქართველი მწვრთნელების სტატუსის ამაღლება იყო, საბოლოოდ კი ჩვენი ფეხბურთის საერთო დონის გაუმჯობესება. ამას გარდა, გარკვეული შეთანხმების შემდეგ მიღებული სერტიფიკატი ჩვენს მწვრთნელებს უეფას იურისდიქციაში მყოფ ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობის უფლებას მისცემს. დღეს ფეხბურთში ბევრია შემთხვევით მოხვედრილი ხალხი, რაც უნდა გამოირიცხოს — მხოლოდ განათლებულ და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს უნდა ჰქონდეთ საქმიანობის უფლება, როგორც ბავშვებთან, ისე მოზრდილთა გუნდებში. ეს უეფას მოთხოვნაა.

უეფამ თავის წევრთა შორის ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო იმის გარკვევა, ვისთვის უნდა მიენდოთ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. გამოკითხვის შედეგად უეფას ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ეს ადგილობრივი ფედერაციებისთვის დაეკისრებინათ. რა თქმა უნდა, ფიზკულტურის ინსტიტუტი თავის ფუნქციას არ დაკარგავს. ჩვენ სემინარებს ამ ინსტიტუტის რამდენიმე მსმენელიც ესწრებოდა, რომლებმაც საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს, მაგრამ სამაგალითოდ, გერმანიაში დანერგილ წესს გავიხსენებ: იქ უამრავი მწვრთნელთა სკოლაა, თუმცა სამუშაო ლიცენზიას მხოლოდ გერმანიის საფეხბურთო კავშირი გასცემს.

**— რა შედეგი მოგცათ სემინარმა?**

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ სემინარი უეფას მოთხოვნების შესაბამისი პროგრამით ჩავატარეთ, თუმცა საქართველოსთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც გავითვალისწინეთ. რა შედეგი ექნება სემინარს, თავად მსმენელებზეა დამოკიდებული — როგორ გამოიყენებენ მიღებულ ცოდნას. თანაც, ჩემგან ცოტა უხერხულიც კია სემინარის შედეგებზე საუბარი, თუმცა თავად მსმენელები აღნიშნავდნენ, რომ ბევრი სიახლე და მათთვის სასარგებლო დაინახეს.

მოკლედ, როგორც მანქანის მფლობელი ვერ მიუჯდება საჭეს მართვის უფლების გარეშე, ისე გაუნათლებელი მწვრთნელი ვერ იმუშავებს ფეხბურთში, თუ ფედერაციის ლიცენზიას ვერ მიიღებს. ამის დროც მოვა.

**— როდისთვის ვარაუდობთ აღნიშნული პროგრამის განხორციელებას? ბავშვთა ფეხბურთში ხომ მხოლოდ 15 მწვრთნელი არ მუშაობს...**

— ამას ხანგრძლივი დრო დასჭირდება — სემინარების ჩატარება მხოლოდ ზამთარსა და ზაფხულშია შესაძლებელი, როდესაც მწვრთნელები შედარებით თავისუფალნი არიან. დამთავრებულ სემინარებს თბილისელი ბავშვთა მწვრთნელები ესწრებოდნენ, ზაფხულში კი მათ კოლეგებს დასავლეთის რეგიონებიდან მოვიხმობთ. როდესაც კადრებს მოვამზადებთ, ამის შემდეგ ულიცენზიო მწვრთნელები ვერ გაიჭაჭანებენ.

**— რა აზრისაა ფედერაცია იმ მწვრთნელთა უცხოეთში გაგზავნაზე, ვინც სემინარზე გამოიჩენს თავს?**

— ნოდარ ახალკაცს დღესვე შეუძლია გერმანიის საფეხბურთო სკოლებში ასეთების მივლინება, მაგრამ საამისოდ გერმანულის ძალიან კარგად ცოდნაა საჭირო. ეს კი პრობლემაა. უამისოდ მწვრთნელთა გაგზავნას აზრი არა აქვს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში სწავლება კი 1600 გირვანქა სტერლინგი ღირს და მსურველს შეუძლია გამოცდილ სპეციალისტთა ლექციების მოსმენა. მაგრამ, ვიმეორებ, მთავარი პირობა ამ სკოლებში მისაღებად უცხო ენების საფუძვლიანი ცოდნაა. როგორც ვიცი, სერტიფიკატის მფლობელი 15 კაციდან მხოლოდ რამდენიმე ფლობს უცხო ენებს. მაგალითად, ლევან ყიფიანი ინგლისურად და გერმანულად ლაპარაკობს, მაგრამ ერთია სასაუბრო ენის ცოდნა და მეორე — ენის სრულყოფილად ცოდნა. უცხოურ სკოლებში ლექციის მოსმენაც უნდა მოასწრო, ჩაწერაც და გამოცდების ჩაბარებაც უნდა მოახერხო.

ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ამ მხრივ ნაკლები პრობლემა ექნებათ ქართველ მწვრთნელებს მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში, სადაც საფუძვლიან განათლებას იძლევიან, თუმცა, სჯობს, ქართველი მწვრთნელები გერმანიაში, ინგლისში ან იტალიაში დაოსტატდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## „მანუჩაროვიჩის“ ტურნირი დაიწყო

2 თებერვალს დაიწყო „შევარდენის“ გარდაცვლილი გუნდის უფროსის ომარ გუგუშვილის („მანუჩაროვიჩის“) სახელობის ტურნირი: ჯერჯერობით სამი შეხვედრა ჩატარდა: კახეთი — სკა 1:1, დურუჯი — შევარდენი 1:6, სკა — შევარდენი 0:1.

## გარდაიცვალა მიხაილ იაკუშინი

3 თებერვალს 86 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი, რომელიც სხვადასხვა დროს სამჯერ იყო თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი.

30-40-იანი წლების საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში სსრკ-ს არაერთგზის ჩემპიონი ფეხბურთელობისას თუ მწვრთნელობისას და საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი.

მიხაილ იაკუშინი 1951-53, 1962-64 და 1974-75 წლებში თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი იმ გუნდის წარმატებას, რომელმაც გავრილ კაჩალინის ხელმძღვანელობით პირველად მოიპოვა საბჭოეთის ჩემპიონობა.

მიხაილ იაკუშინი 5 თებერვალს დაკრძალეს ვაგანკოვის სასაფლაოზე. მისმა ოჯახმა სამძიმარი მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან, მისი პრეზიდენტისგან, თბილისის „დინამოსგან“ და რუსეთში საქართველოს საელჩოსგან.

## გოგი ახვლედიანის სვეტი

## კაცი, რომელიც უყურებს ფეხბურთს

იმ კვირაში დიდი თამაშია მოსალოდნელი „უემბლიზე“: ინგლისელები იტალიელებს მასპინძლობენ და ამ საქმეში ჩვენც ერთგვარად მაინც ჩართულნი ვართ.

საქართველოს ნაკრებს უკვე ორივესთან წაგება მოუსწრია და ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივრებსაც ხელი აქვთ ჩაქნეული — თულა გავამწარებთ ვინმეს, თორემ საფრანგეთში ჩვენ ვინღა ჩაგვიშვებსო.

ახლა ეს მარჩიელობა იქით იყოს და საერთაშორისო ფეხბურთის ფანები ოთხშაბათს ღამით სინათლის ქუბნაში იქნებიან — ყველა ხომ რომელსამე დარბაზში ვერ დაეტევა? ქომაგებმა უკვე იციან, რომ ეს დიდად თვალისმომჭრელი მატჩი იესპიენის და რაიუნოს არხებზე უნდა ეძებონ.

ჩვენ ვუყურებთ ამ თამაშს. ალბათ, ბევრნი ვიქნებით და ბევრი ჩვენგანიც ინერვიულებს, რადგან რომელიმე ნაკრები საქომაგოდაც ყოლება შეგულებული (ასეთია საერთაშორისო ფეხბურთის მოყვარულის წესი!), მაგრამ მთელი ქალაქის მაყურებელთა შორის იქნება ერთი ვინმე, ვინც გამორჩეული ინტერესით და მუდამით ჩაუჯდება ტელერეპორტაჟს.

წინასწარი მადლობა ღმერთს და იმ დროისთვის ალბათ უკვე დანიშნული იქნება ჩვენი ნაკრების მწვრთნელი. სწორედ მასზე გეუბნებით.

სხვა დროს და სხვა ვითარებაში ეს კაცი (მისი ვინაობა ჯერჯერობით ვერაფრით ამოვიცანი) ოთხშაბათ საღამოს უემბლიზე უნდა იჯდეს და არა ტელევიზორთან, მაგრამ რას იზამ? ჯერჯერობით ჩვენ იმგვარი ქვეყანა გახლავართ, სადაც ამგვარ საჭირო მივლინებებს გასართობ მოგზაურობაში ხელგაშლილობას ამჯობინებენ ხოლმე და ახალ მწვრთნელსაც შინ დარჩენა მოუწევს.

და მაინც, მოდით, ვიფიქროთ ამ კაცზე.

ნეტავ რა უტრიალებს თავში?

ბევრ ქვეყანაში ფეხბურთის მწვრთნელობა მეცნიერებად იქცა. მწვრთნელები კომპიუტერებს უსხედან და ვერც კი წარმოიდგენთ, ისეთ რაღაცეებს ითვლიან. ვთქვათ, მომავალი მეტოქის მარჯვენა მცველის გადაადგილების სისწრაფეს შეტევის დროს, ანდა შეტევიდან დაცვაში დაბრუნებისას. ამათ შორის განსხვავებას რომ დაადგენენ, თვლიან, რომ ერთი პატარა რამ მაინც შემატეს მოსაგებ თამაშს. მწვრთნელობა ასეთ საქმედ იქცა და ვერ ვიტყვი, რომ ამგვარ მწვრთნელზე ვგიჟდები, მაგრამ რას იზამ?

ეს ორი თუ სამი ოვე, საქართველო ნაკრების მწვრთნელს რომ ეძებს, რა აღარ მოვისმინეთ და გავიგონეთ, მაგრამ არავის უთქვამს, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ამ კაცს. როგორ კაცს ეძებენ?

იმას კი არ ვამბობ, ვინმე სქემების მხაზველი იტალიელი ავიღოთ მაგალითად-მეთქი. ღმერთმა დაგვიფაროს. ეს მთლად დააბნევს ჩვენს ფეხბურთელებს, მაგრამ არაერთხელ გამიგონია, თუ ვის თვლიან ჩვენში მწვრთნელებად. ერთ ძველ საფეხბურთო წიგნში (რომელიც, მგონი, ბრაზილიელმა ჟასინტო დე ტორმესმა დაწერა) ამოვიკითხავს, იყო დრო, როცა ბრაზილიურ ფეხბურთში მწვრთნელის მთავარ მოვალეობას თამაშის წინ მაისურების ჩამორიგება წარმოადგენდაო.

ის დრო წავიდა, მაგრამ ყველგან არა.

კაცი, რომელიც ოთხშაბათს უყურებს ფეხბურთს, სხვანაირი ვინმე უნდა იყოს.

საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი. ფირმებს და ბანკებს, კლუბებსაც კი ჰყავთ პრეზიდენტები, ქვეყანაში არის ორასამდე სხვადასხვა რანგის თავმჯდომარე და გენერალი, საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი ერთი უნდა ჰყავდეს.

გაზეთებში ტრიუმვირატის გამოც ეწერა, მაგრამ ტრიუმვირატი რომში დაიშალა და ჩვენთან რა მოუვა.

ამიტომ — ერთი.

არა რევოლუციონერი, არამედ უბრალოდ — ამბიციური, ოდნავ ავანტიურათა მოყვარული, საერთაშორისო ფეხბურთში გარკვეული და ტვეილი საფეხბურთო ფილოსოფოსობის მოძულე — ასეთი ვინმე სულ სხვაგვარად უყურებს ფეხბურთს ოთხშაბათს ღამით.

და რაც მთავარია, ხაზვაც უნდა შეეძლოს. იმდენი, რამდენიც ჩვენი გუნდისთვის არის ახატანი.

# ჩვენს დათესილს სხვები მკიან

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ესენგეს ტურნირმა ქართული ფეხბურთის მდიდარი შესაძლებლობანი წარმოაჩინა. არადა, ჩვენმა უსახურმა ჩემპიონატმა ქართველ მაყურებელს ლამის არის ხელი ჩააქნევინოს ჩვენს ფეხბურთზე. ქართული ფეხბურთი კი, ეტყობა, ისეთი ფენომენია, რაც უნდა უხეიროდ უპატრონო, მაინც არ დაილუპება.

მოსკოვში ერთობ უიმედოდ გავემგზავრე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ქვეჯგუფშიც კი გაგვიჭირდებოდა. ჯერ ასე თუ ისე აწყობილი „დინამო 96" რა ძალა იყო და ახლა ერთბაშად გაახალგაზრდავებული რას უნდა გამხდარიყო. მოსკოვის ტურნირს რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, არ ვანიჭებდი, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ იქ თხუთმეტი ქვეყნის ჩემპიონი ჩამოდის და ამ ქვეყნების საფეხბურთო ავ-კარგი უცხადესად ჩანს. იმ ვადებში, მოსკოვის ტურნირი რომ ტარდება, ყველა გუნდი თანაბარ მდგომარეობაშია, მოსკოვის „სპარტაკის" გარდა. და მაინც, რუსეთის ფეხბურთის ფლაგმანს სომხები, თურქმენები, ლატვიელები და უკრაინელები უკვე არაფრით. ჩამოუვარდებიან მოსკოვის მოედნებზეც კი და მეტწილად სჯობნიან კიდეც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ჩემპიონატის სიძლიერეც, მათი არმიისა არ იყოს, ერთობ გაზვიადებულია. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქართველ ფეხბურთელთა უდიდესი ნაწილი შესაბამისი მომზადების პირობებში რუსეთის ნებისმიერ გუნდში ითამაშებს და ლიდერი თუ არა, იმათ საშუალო ფეხბურთელზე ნაკლები არ იქნება. ლამის ყველა აქედან წასულმა დაამტკიცა ეს. გავიხსენოთ თუნდაც თეთრაძე, რომელსაც მოსკოვში გადახვეწის წინ ზოგიერთი ჩვენებური ოდენ სათადარიგოთა სკამზე ჯდომას უწინასწარმეტყველებდა, ომარი კი რუსეთში ბოლო ორი-სამი სეზონის საუკეთესო მოთამაშედაა აღიარებული. ეგაა, ოფიციალურ კურთხევაზე რომ მიდგება ჯერი, რუს ჟურნალისტებს შოვინიზმი სძლევთ ხოლმე და ომარი ვერ ზეობს, მაგრამ ჩემპიონატია თუ ნაკრების თამაშები, ნათლად ჩანს, ვინაა საუკეთესო. კოლოსკოვი რომ არ ჰყავდეთ რუსებს, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ჯგუფიდან გასვლაც კი საკითხავი გაუხდებოდათ. ფარერებისა და კვიპროსის ძლევა კი, არა მგონია, უმწვრთნელო საქართველოს ნაკრებს გაუჭირდეს. ახალკაცმა ალბათ იმიტომაც გადაწყვიტა მოსკოვში ჩასვლა და კოლოსკოვთან შეხვედრა, რომ აქედანვე ფიქრობს მომავალზე და ახალ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კოლოსკოვთან დაახლოებამ შეიძლება ევროპა 2000-ის ქვეჯგუფში სან-მარინო — ლუქსემბურგი — საბერძნეთი გვარგუნოს. ალბათ ამიტომაც ჩვენი ფედერაციის თავკაცმა ძველ ჩვევას უღალატა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მოსკოვს ჩავიდა. რაზე ილაპარაკეს იქ, ბატონი ნოდარი ან იტყვის, ან არა, თქმით არც კოლოსკოვმა თქვა, მაგრამ მათი შეხვედრა რომ შემთხვევითი არ იყო, მკითხველი ალბათ დამერწმუნება...

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ დღეს თამაშს მარტო მინდორზე რომ არ იგებენ, ფაქტია. ფინალის მოგების შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე ლობანოვსკიმ თქვა, რაში გჭირდებათ, „სპარტაკს" რომ ეხმარებით, ხომ ხედავთ არაფერი გამოვიდა, არა სჯობს, ყველა გუნდი თანაბარ პირობებში იყოს და ტურნირსაც მეტი ინტრიგა ჰქონდეს? ჩემთვის ეს ტურნირი მოსამზადებელი ციკლის ერთი ეტაპია მხოლოდ და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მოვიგებ თუ წავაგებო. რომანცევი გალახულივით იჯდა და პრესკონფერენციის წამყვანი ჟურნალისტი თუ შეგვახსენებდა ხოლმე, ვალერი ვასილიევიჩის გარდა აქ ოლეგ ივანიჩიც ზის და მასაც ჰკითხეთ რამეო... რუსებმა მეტად მტკივნეულად განიცადეს ზედიზედ მეორე მარცხი. თუკი შარშან „ალანია" გაილახა, წელს სულაც მათი სათაყვანებელი „სპარტაკი" გააკრეს ბეჭზე. ამიტომაც სერიოზულად ალაპარაკდნენ, საერთოდ თუა საჭირო ეს ტურნირიო...

„სპარტაკისთვის" კი ჯერ სომხებს უნდა მოეგოთ. ხორენ ოგანესიანის ბიჭებმა ექვსი ნაღდი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, მსაჯმა ჟუკმა კი მათ კარში პენალტი მოიგონა. ნახევარფინალში „კოპეტდაღი" — „სპარტაკის" გვერდითა მსაჯმა ისეთი რამ მოიმოქმედა, სპარტაკელი ფანებიც კი აღშფოთდნენ, ასეთი მოგება რად გვინდაო. 44-ე წუთზე, 0:1-ზე (გოლი გოგოლაძემ შეაგდო), ბუბა ტყავაძემ მეორე გოლი გაიტანა. 0:2-ს „სპარტაკი" ნაღდად ვერ ამოქაჩავდა და... ბუბას გოლი არ ჩაუთვალეს. აი, ამიტომ ვერ გ...იდა „კოპეტდაღი" ფინალში. არადა, ფინალში გასვლა კი არა, თურქმენები ჯგუფურ ტურნირშიც აუტსაიდერად ითვლებოდნენ ხოლმე. ელგუჯა გუგუშვილის საქმიანობამ შედეგი გამოიღო, თურქმენული ფეხბურთი მოყოჩაღდა და პირველი შედეგებიც სახეზეა: ირანის ნაკრების დამარცხება თეირანში, წარმატება მოსკოვში. თურქმენეთის ფეხბურთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა კაკაჯან ატაევმა მითხრა, ელგუჯა გუგუშვილის ჩამოსვლით ბედი გვეწვია, ისეთი რამეები დავინახეთ, რაზეც ადრე წარმოდგენა არ გვქონდა. მართალია, გუგუშვილს კონტრაქტი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დამთავრებისთანავე უთავდება, მაგრამ უთუოდ უნდა ვთხოვოთ კიდევ რამდენიმე წლით დარჩენაო. გუგუშვილი გასული წლის საუკეთესო მწვრთნელად ულიარებიათ თურქმენეთში და მალე ოფიციალურადაც დააჯილდოებენ. თურქმენთა ფეხბურთს თავისი ელფერი ქართველმა ფეხბურთელებმაც შემატეს. ატაევის თქმით, ისინი ყველა ღონეს ხმარობენ

## გოგოლაძე და ტყავაძე

„გათურქმენებას" რომ დაჰყაბულდნენ. თავად კახას და ბუბას რომ დავეკითხე, ეს მითხრეს:

— ჯერ ხელი არაფერზე მოგვიწერია, არც თანხმობა გვითქვამს, ყველაფერს ასჯერ ვწონით და ვზომავთ. ეს ისეთი ნაბიჯია, მერე არ უნდა ინანო. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ჩვენი ასაკისა და სხვა მიზეზთა გამო საქართველოს ეროვნულ გუნდში მოხვედრის შანსები, ფაქტობრივად, არა გვაქვს, ამიტომ თუ კარგ პირობას შემოგვთავაზებენ, დავთანხმდებით თურქმენეთის მოქალაქეობის ფორმალურ მიღებაზე, რათა ნაკრებში ვითამაშოთ. ნაკრების წევრს მაინც სულ სხვა ფასი ადევს და არ არის გამორიცხული, სწორედ შესარჩევი თამაშების მერე, თუკი კარგად ვითამაშებთ, ძლიერ კლუბებში გადავიდეთ. ამ შესარჩევი მატჩების სანახავად აზიის ქვეყნების საფეხბურთო სელექციონერები ჩამოდიან და ჩვენც თავის გამოჩენის შანსი მოგვეცემა. თანაც, თურქმენები სიტყვის ხალხი ჩანან, რასაც დაგვპირდნენ, უკლებლივ აგვისრულეს და ასეთ ხალხთან ღირს მუშაობა...

თურქმენული ფეხბურთის რჩეული

## ელგუჯა გუგუშვილი

მეტად სიტყვაძვირი იყო და ესლა მითხრა: „თურქმენეთში ახლა ფეხბურთის არნახული ბუმია და ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისთვის. თავს ისე ვგრძნობ, როგორც წყალში. ვფიქრობ, თუ ხელი არაფერმა შემიშალა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებთ. ტყავაძის და გოგოლაძის დამატებაც ძალზე გაგვაძლიერებს, თავად ნახეთ, როგორ ფეხბურთს თამაშობენ ჩვენი ბიჭები". მართლაც, ქართველებმა ნახევარფინალში ისე აიკლეს „სპარტაკის" დაცვა, თავად გამიკვირდა. გოგოლაძის და ტყავაძის თამაშში არაერთი ახალი თვისებაც აღმოვაჩინე. ტყავაძე, როგორც აქ სჩვეოდა, ბევრს მუშაობს მოედნის შუაში, ბურთს იჭერს, კარგად ანაწილებს პასებს და თამაშს სასურველი რიტმით უძღვება. ჯარიმებსაც ბუბა არტყამდა. კახა გოგოლაძე კი აკი ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს რუსმა ჟურნალისტებმა. ეს მაშინ, როცა ტურნირზე უკრაინელები შევჩენკო და რებროვი, რუსები ტიხონოვი და კეჩინოვი ჰყავდათ.

ახლა ჩვენს ლატვიელ ლეგიონერებზეც ვთქვათ. დათო ჩალაძის და ალეკო რეხვიაშვილის თამაში ბევრჯერ მენახა, ლევან სილაგაძის კი არასდროს და, ალალად ვამბობ, აღფრთოვანებული დავრჩი, ლევანის მიერ ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩები რომ ვიხილე. რიგის „სკონტოს" მთავარი მწვრთნელი, წარსულში „დაუგავას" თავკაცი

## ალექსანდრე სტარკოვი

ასე ახასიათებს ქართველთა ტრიოს: „რევაზ ძოძუაშვილმა ქართული სამეული რომ ჩამოიყვანა, ვარჯიშებზევე შევატყვე დიდი პოტენცია, მაგრამ კონტრაქტზე ხელის მოწერა არ დამიჩქარებია. მინდოდა, ქართველებს ჯერ ევარჯიშათ ჩვენთან, შეგუებოდნენ ცხოვრების აქაურ სტილს, შეწყობოდნენ თანაგუნდელებს. როდესაც ადაპტაციის პერიოდმა გაირა, დავსხედით, მოვილაპარაკეთ და კონტრაქტებიც გაფორმდა. ძოძუაშვილის მიწვევა ჩემი და კლუბის პრეზიდენტის იდეა იყო. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს, გვინდა, ლატვიური ფეხბურთი ევროპაში ღირსეულად გამოვაჩინოთ. მხოლოდ მაჩანჩალობა რა ბედენაა. რა თქმა უნდა, ლატვია საფეხბურთო ევროპის სათავეში არ მოექცევა, მაგრამ თუ ჩვენს პოტენციალს სრულიად გამოვიყენებთ, შეიძლება დიდ წარმატებებსაც მივაღწიოთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს კუთვნილ ადგილს რომ მოვიპოვებთ ევროპულ სარბიელზე, ამაში ეჭვი არ მეპარება. ახლა ლატვიაში სერიოზული პროგრამაა დასახული ფეხბურთის განსავითარებლად, შენდება დარბაზები, სტადიონები, ჩამოჰყავთ უცხოელი მწვრთნელები და ფეხბურთელები. ცხადია, თქვენი ბიჭების ამბავსაც მკითხავთ. გეტყვით, რომ ძალიან კმაყოფილი ვართ შენაძენით. ჩალაძეთი დავიწყებ: დათო ტექნიკური და, შეიძლება ითქვას, ინტელექტუალური თავდამსხმელია. მეტად პერსპექტიული ბიჭია, გოლის ალღო აქვს, მას ისეთ თავდამსხმელს შევუწყვილებ, ნიჭს სრულიად გამოავლენს. რეხვიაშვილი გამრჯე ნახევარმცველია, დიდი სამუშაოს შესრულება შეუძლია. ეგაა, ზედმეტი ემოციები უშლის ხელს. თავად ნახეთ, „კოპეტდაღთან" რა ვითარებაში გაიძევა თავი. მე მგონი, რეხვიაშვილი მალე დასძლევს ემოციურობას და ჩვენს გუნდს დიდ დახმარებას გაუწევს. რაც შეეხება ლევან სილაგაძეს, იგი ჩემთვის უდაოდ აღმოჩენაა იმ თვალსაზრისით, რომ ქართველისთვის დამახასიათებელ ემოციურობას და ტემპერამენტს ვერ შეამჩნევ, დინჯად ირჯება, დაცვაში რა ადგილზეც არ უნდა დააყენო, არ გიმტყუნებს. ჯერ თქვენი ბიჭები გუნდის უეჭველი ლიდერები ვერ არიან, მაგრამ ამის დროც მოვა. ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობენ."

მწვრთნელის დარად, მეც

## დათო ჩალაძე

მოვძებნე და მისით დავიწყე ინტერვიუ ჩვენებურებთან. ჩალაძეს მეტად მოუმატებია ლატვიაში წასვლის შემდეგ. სტარკოვისა არ ვიცი, მაგრამ უჩალაძეოდ ლატვიელთა თავდასხმა აშკარად უნიათოდ გამოიყურებოდა. დათო ყველა გადაგდებულ ბურთს იჭერს და არჯულებს. მას რომ ოდნავ უკანდაწეული კარში დამრტყმელი ფორვარდი მიახმარონ, „სკონტოს" შედეგიანობა ერთიორად იმატებს, რადგან ჩალაძეს მუდამ ორი მცველის ყურადღება სჭირდება. ასე იყო მოსკოვშიც. სხვათაშორის, დათომ ბოლო ორი მატჩი — თბილისელებთან და კიეველებთან სიცხიანმა და ტრავმირებულმა ითამაშა და მაინც ყველაზე აქტიური იყო. კიეველებმა მას ბეჟენარი მიუჩინეს პერსონალურად და დათომ იგი გვარიანად აწვალა.

**— „სკონტოს" მწვრთნელმა მითხრა, ჩალაძეს თავდასხმაში რიგიანი დამხმარე უნდა შევუწყვილოო. ვის აპირებს, თუ იცი?**

— ამ მიზნით 20 წლის მიხოლაპი შეიძინა და თავდასხმაში ხან მას მიწყვილებს, ხან ბაბიჩევს. მიხოლაპმა შარშან 30 გოლი გაიტანა და თუ შევთამაშდით, ვფიქრობ, ანგარიშგასაწევ ძალად ვიქცევით. ახლა 10-დან 20 თებერვლამდე თურქმენეთის ტურნირზე მივდივართ, მერე კვიპროსზე და საბოლოოდ იქ ჩამოვყალიბდებით. ნაღდად არ ვნანობ, ლატვიაში რომ წამოვედი — რასაც ვუყურებ, აქ ფეხბურთის განვითარება მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი და საამისოდ არაფერს იშურებენ.

**— ლატვიურ პრესაში ლამის უკვე ვარსკვლავად მოგიხსენიებენ. ჩვენს ბიჭებს თურქმენებმა უკვე შესთავაზეს მათი მოქალაქეობის მიღება, თქვენთვისაც ხომ არ მოუმართავთ?**

— არ ვიცი, სხვაგან როგორ არის, მაგრამ ლატვიაში მსგავსი რამ გამორიცხულია. ჩვენ კი არა, რუსებს, ლატვიაში რომ გაუტარებიათ მთელი ცხოვრება, იმათ არ აძლევენ მოქალაქეობას. ამ მხრივ ფანატიკოსები არიან — ჩვენს გუნდში რომ რუსები თამაშობენ, ისინიც ადგილობრივები არიან, მაგრამ მაინც ლეგიონერებად ითვლებიან.

**— ამ ტურნირმა თუ შეგმატა რამე?**

— რაც უნდა იყოს, მაინც კარგი სკოლაა. კიევის „დინამოს" სხვაგან სად და როდის შეხვდები კიდევ. ახლა, როცა კიეველებს ვეთამაშეთ და არაფერი დავუთმეთ, ჩემი თავის იმედი უფრო მომეცა, ვიგრძენი, რომ კიევის „დინამოშიც" ჩვეულებრივი ფეხბურთელები თამაშობენ და სიცხე რომ არ მქონოდა, ბეჟენარს ნაღდად დავჩაგრავდი.

**— სამწლიანი კონტრაქტი ხომ არ გებევრება?**

— სამი წელი მართლა ბევრია, მაგრამ წარმოიდგინე, წელსვე ჩემპიონთა ლიგისთვის გვიწევს ბრძოლა. საკუთარ ჩემპიონატშიც მუდამ მუდამ ჩემპიონობას გვისახავენ მიზნად და თუკი შემატყვეს, რომ ამათ დონეს ვაჭარბებ, დარწმუნებული ვარ, უმალ გამომინახავენ შესაფერის ევროპულ კლუბს. მაგრამ, მართალი გითხრა, ამათი დონე არც ისე ხელწამოსაკრავია, როგორც ზოგს ჰგონია. ეს გამოჩნდა კიდეც მოსკოვში.

## ალეკო რეხვიაშვილი

ერთ-ერთ მთავარ ფიგურად მეჩვენა „სკონტოს" ნახევარდაცვაში და, ვერც ამაში დავეთანხმები სტარკოვს — თქვენებურები ჯერ ლიდერები. ვერ არიანო. რეხვოს პარტნიორები ერთგვარი მოწიწებითაც ეპყრობიან, თვითონაც მუდამ შემართულია და მთელი ნახევარდაცვის სული და გულია...

— სტარკოვი ნახევარდაცვაში ისეთ დავალებას მაძლევს, რაც ლიბეროს ევალება დაცვაში — ნახევარდაცვის უკან უნდა ვიმოქმედო, მათი შეცდომები გამოვასწორო, მეტოქის შუა ნახევარმცველს ვდიო და თუ შესაძლებლობა მექნა, შეტევაშიც ჩავერთო. ეს ყველაფერი დიდ დატვირთვებს მოითხოვს, მაგრამ ნელ-ნელა ვეჩვევი. ზედმეტი ემოციურობა მღუპავს ხოლმე, მაგრამ ვცდილობ ვაკონტროლო ჩემი თავი. ბავშვი ხომ აღარა ვარ, გუნდი ჩემი საქციელით დავალალატო. ამაზე ბევრს ვმუშაობ და თუ დამაკვირდი, ბოლო მატჩებში ჩემზე დამჯერი ფეხბურთელი არ იყო მინდორზე.

**— „დინამოსთან" მოგებას ელოდი?**

— სხვანაირად არ გამიგო, მაგრამ თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინი ყველა ფეხბურთელს აქვს. „დინამოში", ფაქტობრივად, სათადარიგო ვიყავი და მინდოდა ყოფილი გუნდების წინააღმდეგ კარგად მეთამაშა. ვგრძნობდი, რომ მოვიგებდით. თამაშამდე, სასტუმროში, ჩემი მეგობარი დინამოელები მეხუმრებოდნენ, ამდენ და ამდენ გოლს გაგიტანთო. ესეც კარგად მაქვს დაცდილი: როცა მეტოქეს თავი ქუდში ჰგონია, სწორედ მაშინ აგებს. „დინამოსთან" „გურიაში" ვიყავი თუ „გორდაში", მუდამ ვაგებდით. ახლა კი ვგრძნობდი, რომ ჩვენ ვიხეირებდით. შეხვედრის შემდეგ წაგების მერე გონს რომ მოეგნენ, ბიჭებმა ვაჟკაცურად მოგვილოცეს კიდეც...

**— კიეველებთან თამაშის წინ შიში ხომ არ გქონია?**

— არავითარი, თანაც სტარკოვმა კარგად შეგვამზადა. სხვათაშორის, ჯერ არცერთი მატჩი არ მითამაშია შიშით. შიში მითუმეტეს არ გამომადგება ახლა, როცა „სკონტოს" ხელმძღვანელობას აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ შინაური წარმატებები და სერიოზულად ფიქრობს ევროპულზე, ვგრძნობ, რომ გუნდში ულაპარაკოდ [illegible] ადგილობრივებს და ეს ჩემი საკუთარი ძალების რწმენას მიათკეცებს...

## ლევან სილაგაძე

ბოლოსთვის, ასე ვთქვათ, ჩაროზად შემოვინახე. ლევანიც რუსთაველი მწვრთნელების მურმან გოგოლაძის და თამაზ დოდაშვილის აღზრდილია. საქართველოს ჩემპიონატში „აზოტიდან" „გორდაში" გადასულმა სულ რამდენიმე მატჩი ითამაშა პირველ ჯგუფში და ძოძუაშვილმა „სკონტოში" ამოაყოფინა თავი. ძოძუაშვილს ერთი საოცარი უნარი აქვს: ვისაც თვალს დაადგამს, ის უეჭველად ითამაშებს ხეირიან ფეხბურთს. იგი გამორჩეულად ენდობა ახალგაზრდებს და ისინიც მუდამ უმართლებენ. სილაგაძეც ძოძუაშვილის აღმოჩენებს მივათვალოთ. ყოველ შემთხვევაში, რამდენჯერაც მისი თამაში ვნახე, ლევანი მუდამ გამოირჩეოდა პარტნიორებისგან. მართალია სტარკოვი, რომ ამბობს, ქართველებისთვის უჩვეულოდ, ერთობ რაციონალურად ირჯებაო. ნახევარფინალში ლევანს უკრაინის ჩემპიონატის ორი საუკეთესო თავდამსხმელის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა და უნდა ვაღიარო, რებროვიც დაჩაგრა და შევჩენკოც...

**— საიდან ასეთი თავდაჯერებულობა?**

— მე ძირითადად ჭკუით ვცდილობ ფორვარდის ჯობნას. არც სისწრაფე და მოხერხება მაკლია, მაგრამ ფორვარდს თუ ჭკუით არ აჯობე, როცა იქნება, მაინც გამოგიჭერს.

**— ძოძუაშვილი რა ფუნქციას ასრულებს კლუბში?**

— მას დიდ პატივს სცემენ და არათუ კლუბის, არამედ ნაკრების კონსულტანტადაც დანიშნეს. ბატონი რეზო ავსტრიაშიც ახლდა ნაკრებს. რაც შეეხება კლუბში მის ფუნქციებს, იგი ძირითადად მცველებს გვავარჯიშებს. დიახ, „სკონტოში" ასეა, არათუ მეკარეებს, მცველებსაც კი გვყავს საკუთარი მწვრთნელი. ის კი არა, ძოძუაშვილს სხვა კლუბებმაც მიმართეს დახმარებისთვის და სულ ახლახან რიგის „ვენდსპილმა", უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ იყიდა ოფიციალურად, ძოძუაშვილის ჩაყვანილი ოთხივე ფეხბურთელი — გრიშიკაშვილი, წერეთელი, პერტია და არმაზ ჯელაძე დაიტოვა. სტარკოვი მას დიდად აფასებს და ხშირად ეკითხება რჩევებს...

**— მაშ არ ნანობ რიგაში გადასვლას?**

— დღეს უკრაინის საუკეთესო ფორვარდებს ვეთამაშე და როგორც მითხრეს, არცთუ ურიგოდ. აბა, რუსთავში რომ დავრჩენილიყავი, რა დონის ფეხბურთელი ვიქნებოდი... ამას საწყენად არ ვამბობ. ამ ტურნირზე მართლაც კარგი სკოლა გავიარე, თბილისის „დინამოსაც" ვეთამაშე, კიევის „დინამოსაც", სხვადასხვა ქვეყნის გუნდებსაც. დიდი და საჭირო გამოცდილება შევიძინე, ჩემი თავის რწმენა უფრო მომემატა. მივხვდი, რომ თუ ჭკუით მიუდგები, არც კიევის „დინამოა" უძლეველი თავისი ლობანოვსკით. ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც, ხომ უდიდესი გამოცდილება იქნება. მოკლედ, ვთვლი, რომ ძალზე გაგვიმართლა მეც და ჩემს მეგობრებსაც.

**— ჩვენს „დინამოსთან" ხან ხომერიკს სდევდი, ხან დემეტრაძეს, ხან ყიზილაშვილს. ხომ არ წაგამთებულხართ მინდორზე?**

— არა, ხმას არც კი ვიღებდით, მხოლოდ დემე, როგორც სჩვევია, სულ რაღაცას ბურტყუნებდა, მაგრამ მაინც ვერ გამომიყვანა წონასწორობიდან. ისე, მისი დაკეტვა უფრო ძნელი მეჩვენა, ვიდრე რებროვის ან შევჩენკოსი. ჩვენ ზონურად მოვახერხეთ დინამოელთა ნეიტრალიზაცია.

**— სტარკოვი მკაცრი მწვრთნელია?**

— არა, საკმაოდ ლმობიერი პიროვნებაა, შექებაც იცის ხოლმე...

... მოკლედ, ჩვენი გუშინდელი „მეზობლები" ქართველი ფეხბურთელებით ცდილობენ საფეხბურთო მეურნეობის მოწყობას და როგორც ცხოვრებამ დაგვანახა, გამოსდით კიდეც, ჩვენ კი ერთი ხეირიანი ჩემპიონატის ჩატარება ვერ მოგვიხერხებია. ქართული ფეხბურთი არასდროს მოკვდება, მაგრამ მოდით მარტო ამ ფენომენის იმედად ნუ ვიქნებით, პატარა ხელიც გავანძრიოთ...

**მამუკა კვარაცხელია**
**მოსკოვი — თბილისი**

ფოტო ლატვიურ გაზეთ „რიგას ბალსიდან"



Похоже, на нашем футбольном небосклоне скоро загорится новая звезда из Грузии - Давид Чаладзе.

## ესპანეთი

### თასის გათამაშების მეოთხე წრე

**რეალი 1:1 ბარსელონა**
**(პირველი მატჩი 2:3)**

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბობი რობსონის „ბარსელონამ“ დაასამარა ფაბიო კაპელოს „რეალის“ იმედები დუბლის გაკეთებაზე. შეხვედრაში თვალშისაცემი მადრიდელთა უხეში თამაში იყო, რომელთა საკმარისზე მეტ გაფრთხილებას



რეალი — ბარსელონა. იერო — რონალდო

იეროს გაძევებაც დაერთო. არბიტრს წამდაუწუმ უხდებოდა ყვითელი ბარათის ფრიალი. პირველ ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას „რეალი“ ფლობდა, თუმცა, ორ შორეულ დარტყმას თუ არ ჩავთვლით, რომლებიც ბაიას იოლი ლუკმა გახდა, ხეირიანი კაპელოს ბიჭებს არაფერი შეუქმნიათ. ბურთი უფრო მოედნის ცენტრში ტრიალებდა.

მეორე ტაიმში „ბარსელონამ“ სტუმარ-მასპინძლობა დაივიწყა და სულ აიწყვიტა. გოლამდე კატალონიელთაგან რონალდომ, სამჯერ შეაზანზარა ძელი. მოიერიშე რონალდო გასცდა თანამემამულე რობერტო კარლოსს და მეკარე ბოდო ილგნერს დაურტყა. ბურთი მეკარის ნაცვლად ძელმა მოიგერია, ასხლეტილი რონალდომ მახვილი კუთხიდან ხელმეორედ გაგზავნა კარის მიმართულებით, რომელსაც ადრესატი გამოუჩნდა მადრიდელი რობერტო კარლოსის სახით. ამან, მოგერიების ნაცვლად, ილგნერის კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. გოლის შემდეგაც უპირატესობას „ბარსელონა“ ფლობდა, მაგრამ ათ წუთში არბიტრმა იმ დღეს საიმედოდ მოთამაშე ბაიას კარში ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა. ეს თერთმეტმეტრიანი მთლიანად „რეალის“ ფორვარდის შუკერის დამსახურება იყო და არა ბლანის, რომლის ფეხსაც ისე ოსტატურად წამოედო ხორვატი, რომ მსაჯმა უყოყმანოდ მიუთითა 11-მეტრიანის ნიშნულზე. „დაზარალებულმა“ შანსი არ გაუშვა და გაიყაიმა. ამის შემდეგ მატჩში საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით რობსონის ამოუცნობ გადაწყვეტილებას, როდესაც გაშვებული გოლის შემდეგ ორი მცველი შემტევი ფეხბურთელებით შეცვალა.

შეხვედრის შემდეგ ბრაზილიელმა რონალდომ გაბითურებულ თანამემამულე რობერტო კარლოსს ამაგი არ დაუკარგა და თავისი მაისური უსახსოვრა.

**ესპანიოლი 0:0 დეპორტივო**
**(პირველი მატჩი 2:2)**

პირველ წუთებში სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო, ჯონ ტოშაკის ფეხბურთელებმა ორჯერ ძელიც შეაზანზარეს, მაგრამ მასპინძელთა მონოლითურ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. შეხვედრის უმეტესი დრო „ესპანიოლი“ კანცაკლული თამაშობდა. „მატჩში ყველაფერი ჩავდეთ, მაგრამ, ეტყობა, მარტო ჩვენმა ძალისხმევამ არ იკმარა“ — თქვა მატჩის შემდეგ ლა კორუნიელთა უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა.

**ვალენსია 0:2 ლას პალმასი**
**(პირველი მატჩი 2:0) პენ. 3:5**

ლას პალმასში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობის შემდეგ მასპინძლებს მეოთხედფინალის საგზური თითქოს განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ ვალენსიაში „ლას პალმასმა“ ღირსეულად ითამაშა. არგენტინელმა მცველმა ფერნანდო კასერესმა მატჩისშემდგომ პენალტებში დარტყმა გააცუდა, რაც „ვალენსიას“ წაგებად დაუჯდა.

**თასის გათამაშების სხვა მატჩები ასე დასრულდა: ექსტრემადურა — რაიო ვალეკანო 1:2 (პირველი მატჩი 2:3), ბილბაო — რასინგი 1:1 (0:1), ხელტა — ლერიდა 0:0 (1:1), ბეტისი — ტენერიფე 3:0 (2:0), კომპოსტელა — ატლეტიკო 2:3 (0:2).**

**ონისე ზინჯიკაშვილი**

## ინგლისი

### თასის გათამაშების მეოთხე ეტაპი

**სიტი 3:1 უოტფორდი**

**სიტი: მარგეტსონი, კრუქსი, ინგრემი, ლომასი, საიმონსი, კერნაგენი, სამერბი, მაკგოლდრიკი, ჰინი, ქინქლაძე, როსლერი (კრისი 83)**
**გოლი: ჰინი (24), ნოელ-უილიამსი (58), სამერბი (61), როსლერი (71)**
**გაფრთხილება: ჰინი, როსლერი, ქინქლაძე**

შეხვედრამდე „სიტის“ პრობლემები შეექმნა: რაიტი და ჰორლოკი სასჯელს იხდიდნენ, ბრაიტველი დაშავებული იყო, არ იყვნენ ბრაუნი და დიკოვი. საეჭვო იყო კერნაგენის და საიმონსის თამაშიც, თუმცა, საბოლოოდ, გიოს გუნდისთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. „სიტის“ მეტოქე ამჯერად მეორე დივიზიონის ლიდერი „უოტფორდი“ იყო. 22 მატჩში დაუმარცხებელი კლუბი „სიტისთან“ შედრკა. პირველ ტაიმში გიოს აჩრდილივით დასდევდა სტივ პალმერი, რომელიც ჩვენებურს თამაშის საშუალებას არ აძლევდა. პალმერმა პირველ ნახევარში გიორგი გარკვეულწილად გამოთიშა თამაშიდან. 24-ე წუთზე გიომ კუთხური ჩააწოდა. როსლერმა თაურით ბურთი კარისკენ გაგზავნა, მოგერიებულს კი „საუთჰემპტონიდან“ ნოემბერში ნახევარ მილიონ გირვანქად შესყიდულმა ჰინიმ ბადეში მიუჩინა ადგილი. 36-ე წუთზე გიომ სამერბის კარგად გაუჭრა, მაგრამ ამან პასი ვერ შეირგო. მეორე ტაიმში უხეშად ათამაშდა პალმერი და 53-ე წუთზე ლომასთან უხეში თამაშის გამო გააძევეს კიდეც, მაგრამ ხუთ წუთში სტუმართა 17 წლის იმედისმომცემმა თავდამსხმელმა „სიტის“ კარის დარაჯ მარგეტსონს შემოურბინა და გაიყაიმა. „უოტფორდი“ დიდხანს არ ხარობდა: სამი წუთის შემდეგ სამერბიმ ქინქლაძე მოძებნა, ქართველმა დაუბრუნა პასი და ნიკიმაც მასპინძლები დააწინაურა. შეხვედრის დასასრულამდე 19 წუთით ადრე გერმანელმა უვე როსლერმა მესამეც გაიტანა. მთლად მიწურულს მარგეტსონმა უხეიროდ მოიგერია, სტუმრებს გატანის შანსი მიეცათ, მაგრამ შეცვლაზე შესულმა პოლ რობინსონმა ააცილა. ახლა, თასის გათამაშების მეხუთე წრეში, ანუ მერვედფინალში „სიტი“ პრემიერლიგის მაჩანჩალა „მიდლსბროს“ უმასპინძლებს.

მატჩის შემდეგ მანჩესტერელთა ახალი მწვრთნელი ფრენკ კლარკი, ვისი თაოსნობითაც გიოს გუნდმა ყველა შეხვედრ „ფორდს“ მოუგო (ბრენტფორდი 1:0, ოქსფორდი 4:1, უოტფორდი 3:1, და თუ „მიდლსბრო“ გაიარა, არაა გამორიცხული, თასზე ამათ „ბრედფორდიც“ მიაყოლოს), კმაყოფილი იყო. გიორგიზე კი განაცხადა: „დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ როგორი თამაში შეუძლია გიორგის. მთავარია, ბურთი შესაბამის ადგილას და დროულად მიაწოდო.“

**მერვედფინალური მატჩები 15 და 16 თებერვალს ჩატარდება.**

15 თებერვალი
მანჩესტერ სიტი — მიდლსბრო
ლიდსი — პორტსმუთი
ბირმინგემი — რექსჰემი
ჩესტერფილდი — ნოტინგემი
უიმბლდონი — ქუინზ პარკი

16 თებერვალი
ლესტერი — ჩელსი
ბრედფორდი — შეფილდ უენსდეი

ასევე 15 თებერვალს მეოთხე წრის გადათამაშებაში ბლექბერნი ქოვენთრის უმასპინძლებს, ამათ შორის მოგებული კი 26 თებერვალს დერბის ესტუმრება.

## ევროპის სუპერთასი

# ზებრას მორიგი ნადავლი

**იუვენტუსი 3:1 სენ ჟერმენი**

„იუვენტუსმა“ უდაოდ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო საპასუხო მატჩი პალერმოს „ლა ფავორიტაზე“ რომ გადაიტანა. ჯერ ერთი, „ბებერი ქალბატონის“ ყოველდღე ხილვით განებივრებული ტურინელები „დელე ალპიზე“ მისვლას ალბათ დაიზარებდნენ, მითუმეტეს, რომ პირველი შეხვედრის ანგარიში (6:1) საპასუხოს ყოველგვარ ინტერესს აცლიდა. მეორე, „იუვეს“ სიცილიელები მოიმადლიერა, მთელი იტალიის საყვარელი გუნდის თავის სტადიონზე მასპინძლად ხილვა ხომ ნებისმიერი ქალაქის ოცნებაა. მესამეც, საკუთრივ „ზებრები“ შეყვარებულ პუბლიკას უნიათო თამაშს ვერ აკადრებდნენ და ეს რომ მართლაც ასე იყო, ტაბლომ დაამტკიცა.

პარიზელებმა ერთობ მოინდომეს. შეხვედრას დიდძალი ენერგია შეალიეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასების მფლობელთან ვერაფერს გახდნენ. უგოლო წონასწორობა მხოლოდ 36-ე წუთამდე გაგრძელდა, აქ კი მორენო ტორიჩელიმ მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩინებული პასი მიაწოდა ალესანდრო დელ პიეროს, რომელმაც ბურთი მიიღო, ხელად კარისკენ შებრუნდა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

საპასუხოდ, პირველ ტაიმში „სენ ჟერმენმა“ ორიოდ მომენტი შექმნა. აღსანიშნავია მსოფლიოს ჩემპიონის ბრაზილიელი ლეონარდოს მიერ ხარიხას გარტყმული ბურთი, მაგრამ მეტი არაფერი.

მეორე ტაიმის მე-19 წუთზე ანგარიში გათანაბრდა. პანამელი დელი ვალდესი საჯარიმოში შეიჭრა, მას მეკარე ანჯელო პერუცი ჩაუწვა ბურთის ასართმევად, მაგრამ შედეგად თერთმეტმეტრიანი მიიღო. მსოფლიოს ჩემპიონმა, რაიმ ზუსტად დარტყა.



უტევს მიკელე პადოვანო

67-ე წუთი. დელ პიერო ჯერ პოლ ლე გენის, შემდეგ კი ბერნარ ლამას შეცდომებით სარგებლობს, თავად კი საოცარ დაყინებას და მგლურ განწყობას ავლენს და „იუვე“ წინ გაჰყავს. თამაშის მიწურულს მარჩელო ლიპიმ მოედანზე ვიერი შეიყვანა და ახალშესულმა ორი საუცხოო მომენტი შექმნა, რომელთაგან მეორე გოლით ხოლო პირველი ლამას მიერ ბურთის მოგერიებით დასრულდა.

გოლი მსაჯის მიერ დამატებულ დროში გავიდა და მის გატანაში კვლავ დელ პიერომ მიიღო მონაწილეობა. მარცხენა ფრთიდან მის ჩაკიდებულ ბურთს, როგორც უკვე ვთქვით, ვიერი შეწვდა და თაურით შეაგდო პარიზელთა კარში.

ასე გახდა „ლა ფავორიტაზე“ შეკრებილი 35 ათასი სიცილიელი მოწმე იმისა, თუ როგორ მოიპოვა ტურინის „იუვენტუსმა“ ევროპის სუპერთასი და თავის ისედაც გადავსებულ კოლექციას ეს ჯილდო ერთხელაც შემატა.

**ბაჩუნა ქედია**

# აფრიკასაც მოუნდა

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე ცილობამ გერმანიისა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციებს შორის ურთიერთობა საკმაოზე მეტად დაძაბა. ამათი დავა-კამათი კარგა ხანია საფეხბურთო წრეებსაც გასცილდა. ბრიტანელთა მხარდასაჭერად თვით ქვეყნის პრემიერმა ჯონ მეიჯორმაც აიმაღლა ხმა. უეფამ რომ შეატყო, ვითარება ერთობ იძაბებაო, შექმნა საგანგებო კომისია, რომელიც ამ დღეებში ლონდონს ჩავა და ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებთან პრობლემის მოგვარებას შეეცდება.

ინგლისელებთან შესახვედრად უეფას თურქი ვიცე-პრეზიდენტი ერზიკ შენეში და ნორვეგიელი პერ რავნ ომდალი გაემგზავრებიან. მათ უხელმძღვანელებს უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი. არ არის გამორიცხული, ინგლისის დედაქალაქში უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონიც ჩავიდეს.

ინგლისელთა მხრიდან უეფელებს დახვდებიან ფეხბურთის ასოციაციის თავჯდომარე კეიტ უაიზმენი, აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე გრემ კელი, მისი მოადგილე პეტ სმიტი, საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორი დევიდ დევისი და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მისაღებად შექმნილი ორგანიზაციის წარმომადგენელი ალექს მაკგივენი.

ცხადია, შეხვედრისას უმთავრესად, უეფას მიერ ინგლისელთა წინადადების იგნორირებასა და გერმანელთათვის უპირატესობის მინიჭებაზე ისაუბრებენ. კამათი შეიძლება გაჩაღდეს იმაზე, შარშანდელ სექტემბერსა და ნოემბერში, გამართულ ოფიციალური შეხვედრებისას, როცა ინგლისელებმა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი ოფიციალურად განაცხადეს, უეფას არაფერი უთქვამს გერმანული მხარის ადრე შეტანილ წინადადებაზე და ახლახანლა აუწყა მათ ეს ამბავი.

სანამ გერმანია და ინგლისი ერთმანეთს ეცილებიან, ბრიტანეთის ვეტერან ფეხბურთელთა ასოციაციის წარმომადგენელმა კენეტ უოლსტენჰოლმმა განაცხადა — ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატი, 2006 წელს სამხრეთ აფრიკაში ჩატარდებაო. რამდენიმე დღით ადრე აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ისა ჰეიტუმ გაღვივებულ ცეცხლს ნავთი დაასხა, ჩემპიონატს ევროპამ კი არა, აფრიკამ უნდა უმასპინძლოსო. საბუთად ის მოიტანა, 94-ში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ამერიკა იყო, 98-ში ევროპა იქნება, 2002-ში აზია, 2006-ში კი წესით და რიგით მასპინძლობა ჩვენ გვეკუთვნისო.

**ლაშა გოდუაძე**

## იტალია

### თასის ნახევარფინალი

**ვიჩენცა 1:0 ბოლონია**

სერია A-ს ორი დებიუტანტი „ბოლონია“ და „ვიჩენცა“, რომელთა მიზანი თითქოს ლიგიდან არგავარდნა უნდა ყოფილიყო, მედლებისთვის იბრძვის. „ბოლონია“ 31 ქულით მესამეა. ქულით ნაკლები აქვს და საფეხურით დაბლა იმყოფება „ვიჩენცა“. ამასთან მეტოქეებმა მათთვის წარმოუდგენელ ოცნებას — ქვეყნის თასის ნახევარფინალსაც მიაღწიეს და ორივეს აქვს შანსი, ისტორიაში პირველად მოიპოვოს თასების თასზე თამაშის უფლება. თუმცა, მანამდე ადრეა, ჯერ კი...

ეს შეხვედრა ერთი კვირის წინ უნდა გამართულიყო, მაგრამ მოედანზე ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ მსაჯებმა შეხვედრის ჩატარება შეუძლებლად მიიჩნიეს. ერთი კვირის შემდეგ მეტოქეები, როგორც იქნა, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

შეხვედრის დასაწყისში სტუმარმაც და მასპინძელმაც გაუშვა ხელიდან კარის აღების რეალური შესაძლებლობა. შანსი კი არაერთი ჰქონდათ. მეათე წუთზე „ვიჩენცას“ ნახევარმცველმა დანიელე ამერინიმ საჯარიმო დარტყმით შეაზანზარა ძელი, ორ წუთში კი ბოლონიელი კარლო ნერვოს უძლიერესი დარტყმული მცირედით აცდა მასპინძელთა კარის ხარიხას. 36-ე წუთზე რუსი იგორ კოლივანოვის კარგი დარტყმული მასპინძელთა მეკარემ ფრანჩესკო ანტონიოლიმ აკრობატულ ნახტომში მოიგერია. პირველ ტაიმს არბიტრმა რამდენიმე წუთი დაამატა და სწორედ ამ დროს გავიდა შეხვედრის ერთადერთი გოლი: „ბოლონია“ საჯარიმოს მისადგომებთან დაჯარიმდა. მასპინძელთა ნახევარმცველმა მასიმო ბეგეტომ ჩააწოდა და მურჯიტამაც იმარჯვა. მეორე ტაიმის ბოლოს, 85-ე წუთზე, საჯარიმოში ბურთი შემთხვევით მოხვდა ხელზე მურჯიტას, „ბოლონიას“ მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ არბიტრს უმალ მოსთხოვა პენალტი, მაგრამ მსაჯმა წესის დარღვევა არ აღნიშნა. თამაში „ვიჩენცას“ გამარჯვებით დასრულდა. არსებობის 95 წლის მანძილზე კლუბს პირველად გაუჩნდა ქვეყნის ორი მთავარი ჯილდოდან ერთ-ერთის მოპოვების შანსი. საპასუხო შეხვედრა 26 თებერვალს გაიმართება, რომელშიც გაფრთხილებების გამო ვერ ითამაშებენ მურჯიტა და კოლივანოვი.

მეორე ნახევარფინალური წყვილი კი, გახსოვთ, ფრეზე შეთანხმდა — მილანში „ინტერმა“ 1:1 ითამაშა „ნაპოლისთან“.

ბავშვთა კვება
Gerber
ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

# სასამართლოს დარბაზიდან — 9

ჯონ ფაშანუს ვექილმა ტრევორ ბრუკმა ვინჩესტერის სასამართლოში თავმოყრილ საზოგადოებას განუცხადა:

— ჩემს კლიენტს სრული უფლება აქვს ხმა არ ამოიღოს და არანაირ კითხვას არ გასცეს პასუხი. ის ამ პრინციპს მისდევს მას მერე, რაც რამდენიმე წლის წინ პოლიციამ საჯაროდ დააპატიმრა. იგი მაშინაც დუმდა და ახლაც ამასვე გააკეთებს. უდანაშაულო ვარ. ეს ორი სიტყვა ნებისმიერი გამოცდილი პოლიციელისა თუ პროკურორისთვის ცნობილია. ეს ის სიტყვებია, რომელთაც ფაშანუ მის ბრალმდებელს უთვლის. დაამტკიცეთ თუ შეგიძლიათ, სწორედ ამას ეუბნება იგი მათ. თქვენ მომიყვანეთ აქ, მაშ დამიმტკიცეთ რასაც მაბრალებთ.

ჯონ ფაშანუ, „ასტონ ვილას“ ყოფილი მოთამაშე, ახლა კი სატელევიზიო შოუ „გლადიატორის“ წამყვანი, შეძლებული კაცია. ვექილის თქმით მისი სიმდიდრე ნაწილობრივ წარმატებული საფეხბურთო კარიერისა და სატელევიზიო მოღვაწეობის, ნაწილობრივ კი მდიდარი აფრიკელი სიმამრის შედეგია. მისი მეუღლის, მელისა კაზა-მაპსის მამა პოლიტიკოსი ყოფილა.

— ის, რომ ბანკში ფაშანუს ანგარიშზე ბევრი ფულია, არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რომ იგი მდიდარი კაცია — განაცხადა ბრუკმა — ჩვენი სასამართლო პროცესი მეტისმეტად სუსტია. ვერც ერთი ადვოკატი ვერ იტყვის, რომ ჯონ ფაშანუს მიმართ წაყენებული ბრალდება უსუსური არაა.

ვექილმა განაცხადა, რომ ერთადერთი, რისი მეშვეობითაც საქმე სულდგმულობს, ბრიუს გრობელაარის ყოფილი ბიზნეს-პარტნიორის კრის ვინსენტის ჩვენებაა, რომლის თანახმადაც „ლივერპულისა“ და „საუთჰემპტონის“ ყოფილი გოლკიპერი გრობელაარი და მისი კოლეგა „უიმბლდონის“ მეკარე ჰანს სეგერსი ქრთამის საზღაურად გოლებს უშვებდნენ. ფაშანუ მათთვის ფულის გადაცემაშია ეჭვმიტანილი, ხოლო მალაიზიელი ბიზნესმენი ჰენგ სუან ლიმი შორეული აღმოსავლეთის სანიძლაო სინდიკატის ინგლისში წარმომადგენლადაა მიჩნეული და ასევე ფულის განაწილება ბრალდება.

— ვინსენტი რომ არა, ეს საქმე საერთოდ ვერ იარსებებდა — განაგრძო ფაშანუს ვექილმა — ხოლო ის ფაქტი, რომ ჩემი კლიენტი თავის მეგობარ ლიმს ურეკავდა, ან მას გრობელაარი უკავშირდებოდა (თუ პირიქით), ანაც მისი და სეგერსის სატელეფონო საუბრები ასე ცალკე განხილული, სავსებით არაფერს ნიშნავს. რაც შეეხება ვინსენტს, მან აღიარა, რომ არასდროს შეხვედრია ჯონ ფაშანუს და არ შესწრებია რომელიმე ბრალდებულთან მის საუბარს. ვინსენტს არასდროს უნახავს ფაშანუს ვინმესთვის ფული რომ გადაეცა, ან პირიქით. მაშ დაანებეთ სკამზე მჯდომთ თავი. ჯონ ფაშანუს წინააღმდეგ ვერანაირი სამხილი ვერ მოაქვთ, ეს ფაქტია.

ტრევორ ბრუკი ამას არ დასჯერდა. მან ფაშანუს, უპატიოსნესი კაცის პორტრეტი დახატა:

— ახლა თქვენ მოისმენთ უმაღლესი ზნეობის ამბავს, გაგაცნობთ ისეთ საქციელს, რომლის მაგვარს რომელიმე ჩვენთაგანი ძნელად თუ გაიმეორებდა. ჯონ ფაშანუ კარგი ადამიანია ამ სიტყვის ყველაზე ნამდვილი მნიშვნელობით. იგი ღარიბთა წრიდან მოდის, დოქტორ ბარნარდოს ობოლ ბავშვთა სახლიდან. 1983 წელს, ფაშანუ „მილუოლში“ რომ თამაშობდა, მას სამხრეთ აფრიკული კონსორციუმიდან დაუკავშირდნენ და თავიანთი ქვეყნის ერთ-ერთი თეთრკანიანთა გუნდის მწვრთნელობა შესთავაზეს. მათ მხოლოდ ერთ წელიწადში 350 ათასი გირვანქა სტერლინგი ანუ დაახლოებით 575 ათასი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ მისთვის არანაირ ფულს ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც ზნეობას. სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდი მძვინვარებდა. პატივცემულმა სასამართლომ შეიძლება იფიქროს, რომ 1983 წელს ფაშანუ ღარიბი იყო და ფულს დახარბებული ჯერ არ გახლდათ, მაგრამ 90-იან წლებში, როდესაც მისი ქონება უკვე მილიონებით იზომებოდა, თუნდაც კორუმპირებული, განა შედარებით მცირე თანხებს დახარბდებოდა?

ფაშანუს გარდა სასამართლომ მალაიზიელი ჰენგ სუან ლიმის საქმის გარჩევაც გააგრძელა. ფაქტია, ლიმმა გრობელაარსა და სეგერსს ფული გადასცა. ბიზნესმენის განმარტებით მას ეს ფული ქრთამად კი არ მიუცია, არამედ ინფორმაციის საფასურად.

— წარმოუდგენელ ამბავთა მთელი ჩამონათვალის გარდა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბრიუსს, წლების განმავლობაში საფეხბურთო ლეგენდად ქცეულს და პატივცემულს, მე გოლების ძალად გაშვება შევთავაზე. ეს ისეთი რამაა, რაც აზრადაც კი არ უნდა მოსვლოდა არავის. იგივე შემიძლია ვთქვა ფაშანუზე. მე რომ მისთვის ამგვარი სისულელე შემეთავაზებინა, თავისი პენტჰაუსის რომელიმე ფანჯრიდან მომისროდა. რაც შეეხება ჰოლანდიელ სეგერსს, ასეთ წინადადებაზე გული წაუვიდოდა და ვეღარც მოეგებოდა გონს. მე ორი წელიწადი ველოდი ამ დღეს, ჩემი მდგომარეობის განმარტების საშუალება რომ მომცემოდა. ახლა განვმარტე. ამდენ ხანს კი ზღაპრის მოსაჩმახად უბრალოდ არ მოვიცლიდი. — განაცხადა ლიმმა.

31 წლის მალაიზიელმა სასამართლოს გაუმეორა, რომ მას ფულს მისი მეგობარი — მამობილი იოჰან ჯოზეფი უგზავნიდა. ბრალდებას შორეული აღმოსავლეთის სანიძლაო სინდიკატის უფროსად სწორედ ჯოზეფი მიაჩნია, თუმცა ლიმი აცხადებს, რაიმე სინდიკატთან ჩემს მამობილს საქმე არ უჭირავს, იგი თავის მეგობრებთან ნიძლავდებაო.

პროცესის მთავარი ბრალმდებელი დევიდ კელვერტ სმიტი ასეთმა ახსნამ არ დააკმაყოფილა. მისი თქმით, აბსოლუტური სიყალბეა, რომ ჯოზეფი მეგობრებთან ერთად მაგიდას მიუჯდება და ნიძლავს დებს. ლიმის პასუხი ასეთი იყო:

— ისე არ უნდა წარმოიდგინოთ, თითქოს მეგობრები მაგიდასთან ნიძლავდებიან. საუბარია ბიზნეს-კომპანიონებზე, ახლო მეგობრებზე. ხანდახან ჯოზეფის მეგობრები მასთან რეკავენ და ისე სთავაზობენ ნიძლავს. მაშინ სჭირდება ხოლმე ჩემგან ინფორმაციის მიღება.

ლიმმა აღიარა, რომ 1989 წლიდან მან ჯოზეფისგან უზარმაზარი თანხა, ნახევარი მილიონი გირვანქა მიიღო. მისი განცხადებით ფული სწავლაში დასახმარებლად გამოუგზავნეს, პლუს ნიძლავებში გამოსაყენებელი ინფორმაციის სანაცვლოდ. მაგრამ: — ცხადია, ჯოზეფს მოგება უყვარს, თუმცა რომ წააგოს, დიდად არ ინერვიულებს, ის ხომ გასართობად ნიძლავდება.

დევიდ კელვერტ სმიტის კითხვაზე ჩამოვიდა თუ არა იგი ინგლისში სინდიკატის წარმომადგენლად, ლიმმა უპასუხა:

— არა, უბრალო, ალალ სტუდენტად ჩამოვედი.

კიდევ ერთი კითხვა. შემთხვევითია თუ არა, რომ ორივე ინფორმატორად მეკარე ჰყავდა. იქნებ ისინი სინამდვილეში ინფორმატორები კი არა, მართლაც ფულის სანაცვლოდ გოლების გამშვებნი იყვნენ. თამაშის ანგარიშზე ხომ ისე ვერც ერთი ფეხბურთელი მოახდენს გავლენას, როგორც გოლკიპერი.

პასუხი ცხადი იყო. რა თქმა უნდა, ორივეს მეკარეობა მხოლოდდამხოლოდ დამთხვევაა. ჰანს სეგერსი ჰოლანდიელია, ლიმი კი ჰოლანდიურ ფეხბურთში ვერ ერკვეოდა და ამიტომ დაუკავშირდა, თორემ ისე არ დაუკავშირდებოდა.

კი მაგრამ, მისი ხშირი კავშირი გრობელაართან რატომ შეწყდა მას მერე, რაც მეკარე „ლივერპულიდან“ წავიდა?

— იმიტომ, რომ ბრიუსი ცხრა მთას იქით გადავიდა. სხვა მიზეზი: ამდენი წლის შემდეგ ლივერპულის დატოვებამ მეტად დაწყვიტა გული და განმარტოვდა.

და ისევ მალაიზიიდან 1987 წელს ვინმე ონგისგან მიღებული წერილების გამო. ერთ-ერთ მათგანში წერია: „ყოველმხრივ შეეცადე ჩაებლაუჭო „უიმბლდონს“ და კიდევ რომელიმე გუნდს.“ ლიმს ამ სიტყვების ახსნა მოთხოვეს.

ახსნა: — „ვესტ ჰემთან“ ერთად მოგზაურობას ვაპირებდი, მაგრამ უარი მითხრეს, ამიტომაც მირჩიეს სხვა კლუბები.

სასამართლო გრძელდება

**ბიბა კობახიძე**

**იყიდება**

ირანული გაზის ბალონების ფითილები და შუშები საბითუმო ფასებში.

ტელ: 95-22-56 საღამოს საათებში

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბ „ვესტ ბრომვიჩის“ ახალმა მწვრთნელმა რეი ჰარფორდმა ასისტენტად მიიწვია წარსულში პოპულარული ფეხბურთელი სირილ რეჯისი. კლუბის მწვრთნელთა ტრიუმვირატში ახალწვეული რეჯისი „ვესტ ბრომვიჩის“ მეორე ყოფილი ფეხბურთელი იქნება ჯონ ტრევიკის შემდეგ. ჰარფორდი წლევანდელ სეზონში კლუბის მესამე მწვრთნელია ადრე განთავისუფლებული ალან ბაკლისა და არტურ მანის შემდეგ. „ვესტ ბრომვიჩმა“ ბოლო მატჩში „ბირმინგემს“ მოუგო სტუმრად 3:2. პირველი დივიზიონის კიდევ ერთი გამოტოვებული შეხვედრა „სვინდონსა“ და „ქუინზ პარკს“ შორის კი ფრედ 1:1 დასრულდა.

**შოტლანდიის ჩემპიონატში „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შორის ქულათა სხვაობა ოთხამდე შემცირდა მას შემდეგ, რაც „სელტიკმა“ სტუმრად ლიგის აუტსაიდერი „რეით როვერსი“ სძლია — 2:0. გოლები ლეგიონერებმა — იტალიელმა პაოლო დი კანიომ და პორტუგალიელმა ჟორჟე კადეტემ გაიტანეს ორი წუთის ინტერვალით, 78-ე და მე-80 წუთებზე.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ ამ დღეებში განაცხადა, რომ გულშემატკივართა მოქმედება სტადიონზე წინა წლებთან შედარებით თანდათან ექვემდებარება კონტროლს. ასოციაციის წარმომადგენლებმა მონაცემებიც მოიყვანეს: 1993-94 წლების სეზონის შემდეგ მაყურებელთა დასწრება რამდენიმე ასეული ათასით გაიზარდა, პოლიციელთა მიერ ვაიგულშემატკივრების დაკავების ფაქტები 5 523 ერთეულიდან 4 334-მდე შემცირდა.

**ინგლისის** პრემიერლიგის „ვესტ ჰემმა“ ფორვარდი შეიძინა — „ნიუკასლიდან“ პოლ კიტსონი გადაიყვანა. იგი კლუბს ოთხი მილიონი დოლარი დაუჯდა. 26 წლის კიტსონი „ნიუკასლში“ 1994 წელს მივიდა „დერბიდან“, მაგრამ ამ პერიოდში მხოლოდ 20-ჯერ ითამაშა. კიტსონამდე „ვესტ ჰემს“ „სელტიკის“ ჰოლანდიელი ფორვარდის პიერ ვან ჰოიდონკის შეძენა უნდოდა.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბმა „ბრედფორდმა“ სარჩელი შეიტანა სასამართლოში „ჰადერსფილდის“ მცველის კევინ გრეის წინააღმდეგ, ვინაც ბრედფორდელ გორდონ უოტსონს მძიმე ტრავმა მიაყენა. „ბრედფორდი“ პირველი ბრიტანული კლუბია, რომელმაც ფეხბურთელს სასამართლოში უჩივლა. კლუბის ადვოკატმა მაიკლ შეპარდმა განაცხადა, რომ „საუთჰემპტონისგან“ სამი კვირის წინ 550 ათას გირვანქად შეძენილ უოტსონს, ექიმების დასკვნით, რვა თვით დასვენება და ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

**კოსტა რიკის დედაქალაქ სან-ხოსეში გაიმართა ამხანაგური მატჩი. მასპინძლებმა სლოვაკეთს უმასპინძლეს და 2:2 ითამაშეს. კოსტარიკელთაგან გოლები გომესმა და გონსალესმა გაიტანეს პირველ და ბოლო წუთებზე, ევროპელთაგან 71-ე წუთზე ნემეცმა შეაგდო, 74-ზე კი — სემენიკმა.**

**ჩილეში** მიმდინარე 20 წლამდე ფეხბურთელთა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატმა, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპად განიხილება, უკვე გამოავლინა ოთხიდან სამი ფინალისტი. არგენტინელებმა 3:0 მოუგეს მასპინძლებს და მალაიზიის საგზურს დაეუფლნენ. ივნისში, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა გაინაღდა ბრაზილიამაც, ვინაც ვენესუელასთან 2:2 ითამაშა და პარაგვაიმ. ამან ურუგვაი სძლია — 2:1

**ესპანური „დეპორტივოს“ პრეზიდენტს აუგუსტო სეზარ ლეონდოროს ფიფამ 1998 წლის აგვისტომდე აუკრძალა საფეხბურთო მოღვაწეობა და 100 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა, რადგან უსამართლო შენიშვნებს გამოთქვამდა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისა და ფიფას მიმართ. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ არც კლუბის გულშემატკივართა საქციელი მოიწონა: ოქტომბერში, ლა კორუნიაში გამართული ერთ-ერთი თამაშის დროს მსაჯს მაყურებლების ნასროლი მონეტა მოხვდა თავში.**

**გერმანიის** ბოლო ორი წლის და ევროპის 1996 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა მათიას ზამერმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს დარჩენილი საფეხბურთო კარიერა მთლიანად „ბორუსიაში“ გაატაროს. 29 წლის ლიბერომ „კიკერთან“ საუბარში აღნიშნა, რომ სეზონის ბოლოს იგი და კლუბის ხელმძღვანელები ფეხბურთელის მომავალზე ისაუბრებენ. საუბარი იყო ზამერის „ბაიერნში“ გადასვლაზე, მაგრამ თავად მოთამაშე დორტმუნდში ბედნიერად გრძნობს თავს და არსად წასვლას აპირებს.

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, „ჰამბურგის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა აშშ-დან დაბრუნებისას, სადაც მისი კლუბი ბუნდესლიგის მეორე წრისთვის ემზადებოდა, განაცხადა, რომ მოხიბლულია ამ ქვეყნის ჩემპიონატის ჩატარების სისტემით. მწვრთნელის აზრით, ურიგო არ იქნებოდა ზოგიერთი იქაური წესი გერმანიაშიც დაენერგათ. როგორც მაგათმა თქვა, საჭიროა ფლეიოფის სისტემის შემოღება, რომელიც თამაშის დონეს აამაღლებს და სანახაობრივ მხარესაც წაადგება. მაგათი ლიგის დახურვის მომხრეა — ბოლო ადგილებზე გასული გუნდებიდან არცერთი არ უნდა ვარდებოდეს.**

**ბურკინა ფასოში** მომავალ წლის 7-დან 28 თებერვლამდე ჩატარდება შავი კონტინენტის თასის გათამაშება. ასე გადაწყვიტა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ. კონტინენტის 21-ე პირველობა იანვრის ნაცვლად თებერვალში გაიმართება, რაკი წელიწადის პირველ თვეში მუსლიმებს რამადანის დღესასწაული აქვთ. მეტოქეები თასისთვის ბურკინა ფასოს დედაქალაქ უაგადუგუსა და პროვინციულ ქალაქ ბობო დიულასოში იბრძოლებენ. შესარჩევი ტურნირი უკვე დაწყებულია, იმ 16 გუნდის ვინაობა კი, რომლებიც ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ, ივლისში დადგინდება. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის განცხადებით, ჩემპიონატის ჯგუფების წილისყრა უაგადუგუში 25 სექტემბერს ჩატარდება.

**ინგლისის „ასტონ ვილას“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ კლუბის აქციების გარკვეული რაოდენობა საჯაროდ გაყიდონ. ბირმინგემელთა აზრით, გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხა კლუბის კეთილდღეობას წაადგება. „ასტონ ვილას“ თავმჯდომარის დუგ ელისის თქმით, ამ საქმით კლუბიც იხეირებს და გულშემატკივრებიც, რადგან შესული თანხით პირველ რიგში ბირმინგემის სტადიონ „ვილა პარკს“ უპირებენ რეკონსტრუქციას.**

**იტალიის** „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ კლუბის წარუმატებელი თამაშის მიუხედავად არიგო საკი გუნდში დარჩება. „მილანი“ ჩემპიონატში მე-12 ადგილზეა და 12 ქულით ჩამორჩება ლიდერ „იუვენტუსს“. კლუბი ჩემპიონთა ლიგიდანაც გავარდა და ქვეყნის თასის გათამაშებიდანაც. ბერლუსკონიმ ტელევიზიით გამოსვლისას ბრძანა, რომ სჯერა საკის. მან რწმენა გამოთქვა, რომ მომავალ სეზონში „მილანი“ ისეთივე ძლიერი იქნება, როგორც 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში იყო.



ბერლუსკონი იმედს არ კარგავს

**შოტლანდიელი პოლ ლამბერტი აუცილებლად დარჩება დორტმუნდის „ბორუსიაში“ — თქვა კლუბის წარმომადგენელმა მიხაელ მაიერმა. ლამბერტი „ბორუსიაში“ სეზონის დასაწყისში გადავიდა „მოზერველიდან“ და დორტმუნდელ გულშემატკივართა კერპიც გახდა, მაგრამ მისი მეუღლე გერმანიას ვერ შეეგუა და ქმარს შინ დაბრუნება მოსთხოვა. ლამბერტის გაჭირვება „სელტიკმა“ რომ გაიგო, გერმანულ მხარეს მილიონ 600 ათასი დოლარი შესთავაზა მოთამაშეში, თუმცა „ბორუსიამ“ გარიგება იუარა.**

**ინგლისის** მესამე დივიზიონის კლუბ „ლინკოლნ სიტის“ [illegible] ფლემინგმა გაძევება თაღლითობით აიცილნა. [illegible] შორებით იმყოფებოდა, დამნაშავე ვერ დაინახა, ფლემინგმა კი, რაკი შვიდი წუთის წინ იყო გაფრთხილებული, თანაგუნდელის გვარი უკარნახა და არბიტრმაც უდანაშაულო ფეხბურთელი გააფრთხილა. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ, რომელსაც აქამდე მსგავსი შემთხვევა არ ჰქონია, საგანგებო სხდომა მოიწვია. სავარაუდოა, რომ ფლემინგს დისკვალიფიკაციას მიუსჯიან.

**თურქეთის თასის გათამაშებაში 10 კაცით მოთამაშე „ბეშიქთაშთან“ 1:2 მარცხისთვის გადააყენეს „ფენერბაჰჩეს“ ბრაზილიელი მწვრთნელი სებასტიანო ლაზარონი. „ათყაციან „ბეშიქთაშს“ რომ ვერ ვუგებთ, იმის ნიშანია, რომ დაღუპვისკენ მივექანებით“ — განაცხადა „ფენერბაჰჩეს“ დირექტორმა ვეფა ქურუჯმა. დამარცხებულთა წარმომადგენლების თქმით, არაა გამორიცხული, „ფენერბაჰჩეს“ მთავარ მწვრთნელად „ტრაბზონსფორიდან“ წასული შენოლ გიუნეში დანიშნონ. ხვალ „ფენერბაჰჩე“ ჩემპიონატის ლიდერ „გალათასარაის“ მასპინძლობს.**

**ესპანეთის** თასის ყველაზე მეტჯერ მფლობელი ბილბაოს „ატლეტიკის“ ფრანგმა მწვრთნელმა ლ[illegible]ს ფერნანდესმა განაცხადა, რომ მა[illegible] წავა კლუბიდან, სანამ ჩემპიონა[illegible] თასს არ მოიგებს. „ატლეტ[illegible] გათამაშებას მეოთხე წრი[illegible]ში, ჩემპიონატში კი მე-8 ადგილ[illegible] ბმა თასი ყველაზე მეტჯერ — [illegible] მოიპოვა, ჩემპიონობა კი მხოლ[illegible]დ რვაჯერ. ესპანეთში „ატლეტიკს“ თასების მეფეს ეძახიან. ჩემპიონატში კლუბმა ბოლოს 1984 წელს იმარჯვა, თასზე კი 13 წლის წინათ. ფერნანდესი, ვინაც გასულ სეზონში პსჟ-ს თასების თასი მოაგებინა, იმედიანადაა: „დღევანდელი მდგომარეობის მიუხედავად, მწამს, მალე გაძლიერდებით. ჩემი მთავარი მიზანი „ატლეტიკის“ ჩემპიონობა ან თასის მოგებაა. უამისოდ აქედან არ წავალ“.

**სამხრეთაფრიკელ სტივ კომპელას თურქულ კლუბ „დარდანელში“ ცუღლუტობა ძვირი დაუჯდა. სეზონის წინ კომპელა „გაზიანთეფიდან“ გადაიყვანეს, მაგრამ 29 წლის ფეხბურთელმა ვარჯიშების გაცდენა დაიწყო და ტელევიზიაში მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ამან აღაშფოთა „დარდანელის“ ხელმძღვანელობა. კლუბის მდივნის ისმეთ გუნეშის თქმით, კომპელას ყველა გაცდენილი მატჩისთვის 50 ათასი დოლარით დააჯარიმებენ.**

**ინგლისის** თასის გათამაშებას, მოგეხსენებათ, რამდენიმე ბობოლა კლუბი ჩამოსცილდა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა თასზე წარუმატებლობა კანონზომიერად ჩათვალა: „კლუბი ჩემპიონობისთვისაც იბრძვის და ჩემპიონთა ლიგაშიც. ძალებს გაფრთხილება უნდა. ვფიქრობ, თასიდან გამოვარდნა მაინცდამაინც სამწუხარო არ უნდა იყოს. წელს დიდი მიზნები გვაქვს, მათ მიღწევას კი დიდი ენერგია სჭირდება“.

**ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ მომავალი სეზონიდან გერმანელი მეკარის, აიკე იმელის გარეშე ითამაშებს. 36 წლის აიკე ერთი წლით მეორე ბუნდესლიგის მანჰაიმის „ვალდჰოფში“ გადადის. იმელი, რომლის „ოქროს წლებმა“ „შტუტგარტში“ გაიარა, გერმანიის ნაკრებში 19-ჯერ ითამაშა. 1995 წელს იგი „სიტიში“ გადავიდა, თუმცა მიმდინარე სეზონში მანჩესტერული კლუბის მრავალრიცხოვანი მწვრთნელები ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებენ.**

**ინგლის-იტალიის** მატჩამდე ერთი დღით ადრე, 11 თებერვალს გაიმართება ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრა. ორივე გუნდმა დაასახელა შემადგენლობები. დღეს იტალიელთა არჩევანს გაგაცნობთ: მატეო სერენი, ემანუელ პეზარეზი, მარკო კარპარელი (სამივე სამპდორია), პაოლო ფოლიო, დომენიკო მორფეო (ორივე ატალანტა), ფრანჩესკო კოკო, მასიმო ამბროზინი (ორივე მილანი), დიეგო დე ასკენტისი, ნიკოლა ვენტოლა (ორივე ბარი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ალესანდრო პისტონე (ინტერი), ალეზიო ტაკინარდი (იუვენტუსი), რობერტო ბარონიო (ლაციო), ტომაზო ლოკატელი (უდინეზე), ჯონათან ბაჩინი (ლეჩე), კლაუდიო ბელუჩი (ვენეცია), კრისტიან ლუკარელი (პადოვა), კლაუდიო რივოლტა (ჩეზენა), ლუიჯი სარტორი (ვიჩენცა), დუჩო ინოჩენტი (ლუკეზე), ივან ფრანჩესკონი (საფრანგეთის მარსელი).

## წყალბურთი

# გიხაროლძე: ჩვენები არ დამხრჩვალან

თურქეთის წყალბურთის ფედერაციის პრიზის გათამაშებაში, რომელშიც 1980-81 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, საქართველოს წარმომადგენლები ასტრონომიული ანგარიშებით დამარცხდნენ უკრაინელ (2:15), რუმინელ (5:15) და თურქ (5:15) თანატოლებთან, თავად კი სძლიეს ბულგარელებს (7:4) და სლოვენიელებს (4:3). საბოლოოდ სტამბოლში გამართულ ამ ტურნირზე ადგილები ასე განაწილდა: I უკრაინა, II თურქეთი, III რუმინეთი, IV საქართველო, V ბულგარეთი, VI სლოვენია.

ამასთან დაკავშირებით და საერთოდ ახალგაზრდა წყალბურთელთა მომავალზე ვესაუბრეთ საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ გოიაშვილს.

**— ვიცოდით თქვენი მტკიცე გადაწყვეტილების შესახებ, რომ საქართველოს ნაკრების სახელით, რა ასაკის სპორტსმენებითაც არ უნდა ყოფილიყო იგი დაკომპლექტებული, არ ჩაებმოდა არანაირი გუნდი ისეთ საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელშიც იგი პირწმინდად და დიდი ანგარიშით წააგებდა შეხვედრებს. ახლა რა მოხდა, რამ შეგაცვლევინათ გადაწყვეტილება?**

— ოლიმპიურ თამაშებზე რომ ამბობენ, მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვებაო, ამას ვერ დავეთანხმები. თუ მონაწილეობ, გამარჯვებისთვის ბრძოლაც უნდა შეგეძლოს. სხვაგვარად ასპარეზობაში გამოსვლა არ ღირს, მით უმეტეს რა დროს მონაწილეობაა, როცა ფული არა გაქვს, ჩვენ კი, სამწუხაროდ, არც ესა გვაქვს და არც გამარჯვების თავი. ამიტომ შინ ჯდომა ჯობია, რათა მომძლავრებამდე ამგვარად მაინც გავუფრთხილდეთ ჩვენი წყალბურთის იმ პრესტიჟს, რომელიც გაგვაჩნია და, ვფიქრობ, ურიგო სახელი სულაც არა გვაქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი ფედერაციის წინა ხელმძღვანელობამ ოფიციალური თანხმობა განაცხადა, რათა გამოსულიყო 1980-81 წლებში დაბადებული წყალბურთელებით დაკომპლექტებული გუნდების ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირზე, რომელიც მაისში გაიმართება მინსკში. არადა, იმ ტურნირის ფინალში გასვლის შანსი ალბათ ერთი პროცენტითაც არა გვაქვს, მაგრამ რაკი ასპარეზობაში გამოსვლის დასტური მიუციათ, ახლა იძულებულნი ვართ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოვემზადოთ, რათა იქ დიდი ანგარიშებით მაინც არ დავმარცხდეთ. ამიტომ ამ ასაკის წყალბურთელებთან დავიწყეთ მუშაობა. ისინი გაერთიანებულნი არიან „მართვესა“ და „ზვიგენში“. პირველი თბილისში, რუსეთის არმიის სპორტკლუბის აუზში დაუბრკოლებლად ვარჯიშობს, მეორე კი „ბურევესტნიკის“ აუზში შეფერხებებით იწვრთნებოდა, მაგრამ ოთხი თვეა იქ წყალი აღარ აქვთ. ამ გუნდს „ლაგუნა ვერეს“ კომპლექსში 50 პროცენტის ფასდაკლებით ვარჯიშის საშუალება მივეცით, კიდევ ერთი საათით უსასყიდლოდ დავუთმეთ და სპორტდარბაზშიც შევუშვით. უკვე ერთი თვეა ვარჯიშობენ და ამან ნაყოფი გამოიღო: „ზვიგენი“ „მართვეს“ ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ მოიგო. ამ გამარჯვებებმა დიდი სიხარული და აჟიოტაჟი გამოიწვია, მაგრამ მე გასახარი ვერაფერი დავინახე, რადგან დამარცხებულებზე რომ აღარაფერი ვთქვა, გამარჯვებულის მომზადების დონე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ასე იყო თუ ისე, „მართვედან“ და „ზვიგენიდან“ 25 წყალბურთელი შევარჩიეთ და მათთან დავიწყეთ მუშაობა. გუნდს ავარჯიშებს უფროსი მწვრთნელი გიორგი დოლიძე და მწვრთნელი იოსებ მაისურაძე.

**— ეს ის გუნდია, რომელზეც მთელ იმედებს ამყარებთ და ფიქრობთ, რომ 4-5 წლის მერე საქართველოს № 1 ნაკრები გახდება?**

— დიახ, ეს ის გუნდია. მასში რამდენიმე 1983 წელს დაბადებული წყალბურთელიცაა. დიდების ნაკრების შექმნა აუცილებელია, სულ იუნიორების დონეზე ხომ არ უნდა ვითამაშოთ? მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით პერსპექტივას მაინც ვერ ვხედავ. მარტო თბილისში 40-მდე საცურაო აუზი გვაქვს, მთელ საქართველოში — 120-მდე, მაგრამ უწყლოდ რას გვარგია? მწვრთნელებიც თითო-ოროლაღა შემოგვრჩა.

**— დავუბრუნდეთ სტამბოლის ტურნირს. გავიგეთ, იქ ჩვენი ბიჭები თავდაპირველად თანაბრად ეთამაშებოდნენ მეტოქეს, მაგრამ მერე ფიზიკურად ვეღარ უძლებდნენო.**

— როგორც მწვრთნელებმა მოგვახსენეს, სამწუხაროდ ჩვენები ფიზიკურადაც ჩამორჩებოდნენ მეტოქეებს, ტექნიკურადაც, ტაქტიკურადაც, საცურაო მომზადებითაც, ბურთის ფლობითაც და საერთოდ წყალბურთის ყველა კომპონენტში. სხვაგვარად არც ველოდით. ჩვენი გუნდის წევრებს პრაქტიკულად სათამაშო გამოცდილება არც ჰქონიათ და ამიტომაც უსუსურად გამოიყურებოდნენ. ეგ კი არა, ბრწყინვალე აუზში რომ შესულან, დაბნეულან, ეს სად მოვხვდითო. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო და ბიჭებმა რაღაც გარკვეული გამოცდილება მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის გაშვება არ გვინდოდა, ტურნირი მათთვის დიდი გაკვეთილი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ უკრაინელთა მწვრთნელმა საქართველოს გუნდი რომ დაინახა, თურმე ძალზე გაიხარა და გაკვირვებულს აღმოხდა, მეგონა თქვენთან წყალბურთი საერთოდ აღარ არსებობდაო. მას ჩვენი გუნდისთვის დახმარება აღუქვია უკრაინაში სათამაშოდ. თუმცა იქვე დაუძენია, არც ჩვენ გვილხინს, მაგრამ ქვეყნის პირველობებს მაინც ვატარებთო.

**— ტურნირზე ალბათ სხვა რამ საინტერესოც იქნებოდა.**

— უკრაინისა და რუმინეთის გუნდებთან დამარცხების მერე, ტურნირის მესამე დღეს, ჩვენებს ორი თამაში ელოდათ სამსაათიანი ინტერვალით. ისინი ჯერ თურქებს ხვდებოდნენ. ორი პერიოდი თანაბარი ბრძოლა ყოფილა და მასპინძლები მინიმალური ანგარიშით 6:5 გვიგებდნენ. ძნელი სათქმელია მათთან ბოლომდე გაძალიანება რას მოგვიტანდა, ალბათ მაინც დავმარცხდებოდით და სამი საათის მერე სლოვენიელებთან შეხვედრაშიც ბრძოლის თავი აღარ გვექნებოდა. ამიტომ მწვრთნელებმა, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როცა ორი პერიოდის მერე აუზიდან ძირითადი შემადგენლობა ამოიყვანეს და სათადარიგო ჩაუშვეს. სათადარიგოებმა მეტოქის კარში ერთი ბურთიც ვეღარ გაიტანეს, სამაგიეროდ ძირითადმა დაისვენა და სლოვენიის გუნდს სძლია კიდეც.

**— იქნებ სტამბოლში მოასპარეზე ჩვენი ბიჭები მართლაც დადგნენ საქართველოს უძლიერესი წყალბურთელები, რომლებიც დიდ სარბიელზე გაიკაფავენ გზას. ამიტომ კარგი იქნება თურქეთში ამ გზის დამწყებთა ვინაობის გაცნობაც.**

— ესენი არიან: გიორგი არაზაშვილი, რევაზ გიორგაძე, ვახტანგ თურმანიძე, ძმები მიხეილ და ვალერი ოგანეზოვები, გიგა მაზიაშვილი, გრიგოლ მურუსიძე, ლაშა ბრეგვაძე, როინ ცაგარელი, როსტომ კილოსანიძე, გიორგი კუდუხაშვილი, შოთა ტატიშვილი, ირაკლი დოკვაძე, ვალერი წულაძე, ლევან მანძულაშვილი, დავით ქლენტი და ვიქტორ ბაიბურთიანი.

და ბოლოს, დიდი თხოვნა მაქვს თქვენი რედაქციისადმი — მინდა უთუოდ თბილი სიტყვებით მოვიხსენიო შპს „ივერიაენსის“ გენერალური დირექტორი გოჩა ენუქიძე, რომელიც ჩვენს გუნდს მეცენატად მოევლინა. მან თავისი ფირმიდან გამოყო თურქეთში სამგზავრო ავტობუსიც, ბენზინიც, მგზავრობისას საკვები ფულიც, საბაჟო გადასახადი თანხაც. რომ არა ბატონი გოჩა ენუქიძე, ჩვენი გუნდი ტურნირზე ვერ გაემგზავრებოდა.

**— კი მაგრამ, სპორტის დეპარტამენტი?..**

— სპორტის დეპარტამენტს ამ ტურნირისთვის თანხის გამოსაყოფად ვერ შევაწუხებდით. ამიტომ დავიწყეთ მეცენატის, დიახ მეცენატის და არა სპონსორის ძებნა და გაგვიმართლდა კიდეც.

**— ალბათ იმ შესარჩევ ტურნირამდე კიდევ იასპარეზებთ საერთაშორისო ტურნირებში?**

— თურქეთიდან დაბრუნებისთანავე ირანიდან მოგვივიდა მოწვევა. იქაც ამავე ასაკის წყალბურთელებმა უნდა იასპარეზონ და ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირებისთვის უკეთ მომზადებისთვის ირანში გამოსვლა მეტად საშურ საქმედ გვესახება, მაგრამ კვლავ იქ გასამგზავრებელი თანხის პრობლემა გვაწუხებს და ისევ მეცენატის ძებნაში ვართ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**5 თებერვალი. მონრეალი — პიტსბურგი 3:6, რეინჯერზი — ჰართფორდი 5:2, ნიუ ჯერზი — აილენდერზი 4:1, ტორონტო — ანაჰაიმი 4:2, დალასი — ტამპა 4:0, ედმონტონი — კალგარი 5:2, სან ხოსე — ლოს ანჯელესი 3:2.**

**6 თებერვალი. ბოსტონი — ჰართფორდი 3:5, ბუფალო — ფლორიდა 1:1, ფილადელფია — მონრეალი 9:5, დეტროიტი — ვანკუვერი 4:7, სენტ ლუისი — დალასი 6:4, ფინიქსი — ჩიკაგო 3:2.**

# 16 ქულა სამ კაცზე

აღმოსავლეთის ტამპასა და დასავლეთის დალასის შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ლიგის გუნდები მხოლოდ თავიანთ კონფერენციებში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

ჯერ ამ მატჩებზე და გუნდებზე ვთქვათ, რომელთა შეჯახებაც სტენლის თასის პირველ რაუნდებში სავსებით მოსალოდნელია.

ბუფალომ და ფლორიდამ მათთვის ჩვეულ სტილში ითამაშეს. ასეთი თამაშის შედეგი ის იყო, რომ ბევრი გოლი ვერ გახერხეს — ფლორიდელი ლინდსეის (10) სწრაფ შაიბას სტუმართა ერთ-ერთმა ლიდერმა ოდეტმა (17) უპასუხა. ამის შემდეგ გუნდები ფრთხილად და უფერულად თამაშობდნენ. ბუფალომ ზედიზედ სამი მატჩი დაასრულა ფრედ.

სამაგიეროდ, დასავლეთის გუნდებმა აჩვენეს შემტევი და შედეგიანი თამაში. ვანკუვერმა, რომლის წარმატებები და ჩავარდნები ერთმანეთს ცვლის, დეტროიტში „ფრთების“ თავს — განთქმულ სკოტ ბოუმანს ჩაუშალა მოსალოდნელი იუბილე — 1000-ე მოგება ნჰლ-ში. გამოირჩნენ რუსები: მოგილნიმ (1+1, 21) და ბურემ (4 პასი) თითქმის ყველა საგოლე კომბინაციაში მიიღეს მონაწილეობა. დეტროიტს კი ამათი ყოფილი პარტნიორის — გამოჯანმრთელებული ფიოდოროვის (1+1, 20) კარგმა თამაშმა უშველა. გადამწყვეტი მესამე პერიოდი იყო, როცა ვანკუვერმა სამი უპასუხო შაიბა შეაგდო.

ორი შედარებით სუსტი მატჩის შემდეგ კვლავ გაიბრწყინა სენტ ლუისის წამყვანმა სამეულმა. ჰალმა, ტარჯონმა და კურტნოლმა გაამწარეს დალასის მეკარე ირბე და ხუთი შაიბა გაუტანეს. განსაკუთრებით, ჰალის დაოკება არ მოხერხდა. მრისხანე ბომბარდირმა ჰეთ-თრიკი შეასრულა, გადამწყვეტი გოლი კი უმცირესობაში შეაგდო. ბოლო 14 მატჩში ჰალმა 15 შაიბა მიითვალა.

წინა დღეს კი ჰალის და მისი პარტნიორების მიერ გამწარებულმა ლატვიელმა ირბემ ლიგაში თავისი მე-200 მატჩი ჩაატარა და ტამპას დამარცხებაში უმთავრესი წვლილი შეიტანა (კარიერაში მეცხრე „მშრალი“ თამაში). ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ირბეს იშვიათად უწევს კარში ჩადგომა, რადგან დალასის გოლკიპერთა ბრიგადა ნჰლ-ში უძლიერესია: გამოცდილ მუგს პერსპექტიული ჩეხი ტურეკიც უწევს კონკურენციას.

ორი სამარცხვინო მარცხი იწვნია ლიგის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა მონრეალმა. ერთ დროს მრისხანე გუნდი მეკარეების პრობლემამ შეაწუხა, არც დაცვაშია რიგიანად საქმე. პიტსბურგთან და ფილადელფიასთან კანადელებმა 15 (!) შაიბა გაუშვეს. ეს ყველაფერი უფრო მონრეალის მესვეურთა ბრალია, რომელთაც ბრწყინვალე გოლკიპერი რუა შარშან კოლორადოში გაყიდეს. შემდეგ კოლორადო თასის მფლობელი გახდა...

ფილადელფია — მონრეალის შეხვედრა ჩემპიონატის ჯერჯერობით ყველაზე დიდი ანგარიშით აღინიშნა. მონრეალის მარცხი დასანანი იყო, რადგან მეტად ლამაზად ითამაშა, მაგრამ კვლავ უმტყუნა დაცვამ. ფილადელფიის ლიდერები თავისუფლად დათარეშობდნენ მეტოქის ზონაში: მთავარმა სნაიპერმა ლეკლერმა (4+2, 33) პირველად თავის კარიერაში ოთხი შაიბა შეაგდო, ლინდროსმა კი სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა — 5 (1+4) ქულა. გამოჯანმრთელებულ შვედ რენბერგთან ერთად მათ 16 ქულა დააგროვეს!

ახლა იმ შეხვედრებზე, სადაც ფლეიოფში მოხვედრის პოტენციური კანდიდატები შეხვდნენ ერთმანეთს.

ფინიქსმა ბოლო პერიოდში წაგლიჯა გამარჯვება ჩიკაგოს. გადამწყვეტი შაიბა ბოლოსწინა წუთზე ტკაჩუკმა (1+1, 33) შეაგდო და „კოიოტებმა“ კვლავ გაუსწრეს თავის უშუალო კონკურენტს.

ოთხი დღით დასვენებული ჰართფორდი მთელი ძალით შეებრძოლა ბოსტონს. „დათვებმა“ ვერაფერი გააწყვეს. წინა დღეს კი ჰართფორდმა ვერაფერი მოუხერხა რეინჯერზს. ანგარიში რაისმა გახსნა, მაგრამ ნიუ ორკელებმა უმალ შეაგდეს 5 შაიბა, აქედან ორ-ორი — გრეივზმა (19) და რობიტაილმა (23), გრეცკიმ კი 4 პასი გააკეთა. თუმცა ლეგენდარულმა ჰოკეისტმა თავის მრავალ რეკორდს ერთი ანტირეკორდიც დაუმატა: პირველად კარიერაში ზედიზედ 15 (!) მატჩში ვერ გაიტანა გოლი.

**სამველ ლარიბიანი**

## კალათბურთი

# ხვალ კლივლენდში ოლ-სტარია



ხვალ კლივლენდის „გრანდ არენაში“ მორიგი ოლ-სტარი გაიმართება. ტრავმის გამო რამდენიმე წინასწარ არჩეული მოთამაშე მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს. გთავაზობთ მათ ვინაობას, ვინც მათ ნაცვლად გავა.

| დასავლეთი | | აღმოსავლეთი | |
|---|---|---|---|
| **ხუთეული** | | **ხუთეული** | |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | ანფერნი ჰარდევეი | ორლანდო |
| გერი პეიტონი | სიეტლი | მაიკლ ჯორდანი | ჩიკაგო |
| დეტლეფ შრემპფი (ჩარლზ ბარკლის ნაცვლად) | სიეტლი | სკოტი პიპენი | ჩიკაგო |
| შონ კემპი | სიეტლი | გრანტ ჰილი | დეტროიტი |
| ჰაკიმ ოლაჯუონი | ჰიუსტონი | დიკემბე მუტომბო | ატლანტა |
| **დანარჩენები** | | **დანარჩენები** | |
| კევინ გარნეტი (კლაიდ დრექსლერის ნაცვლად) | მინესოტა | ვინ ბეიკერი | მილუოკი |
| კრის გეტლინგი (შაკილ ონილის ნაცვლად) | დალასი | ტერელ ბრენდონი | კლივლენდი |
| ტომ გულიოტა | მინესოტა | ჯო დუმარსი (ალონზო მურნინგის ნაცვლად) | დეტროიტი |
| ედი ჯოუნზი | ლეიკერზი | ტიმ ჰარდევეი | მაიამი |
| კარლ მელოუნი | იუტა | კრისტიან ლეიტნერი | ატლანტა |
| მიჩ რიჩმონდი | საკრამენტო | გლენ რაისი | შარლოტი |
| ლატრელ სპრიუელი | გოლდენ სტეიტი | კრის ვებერი (პატრიკ იუინგის ნაცვლად) | ვაშინგტონი |

# ვინღა დარჩა?

## არა შაკილი

„ლოს ანჯელეს ლეიკერზის“ ცენტრს შაკილ ო ნილს ოთხშაბათს „ჩიკაგო ბულზის“ წინააღმდეგ არ უთამაშია მარჯვენა მუხლის დაშავების გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ კვირას ოლ-სტარს გამოტოვებს.

„ჩიკაგოსთან“ მატჩის წინ „ლეიკერზის“ ექიმს სტეფენ ლომბარდოს უთქვამს შაკილისთვის, თამაში კი შეგიძლია, მაგრამ მუხლის სახსარი კიდევ რომ იღრძო, სეზონის ბოლომდე სამკურნალო იქნებიო. ონილს გასახდელში გაურბენ-გამოურბენია, მაგრამ საშინელი ტკივილი უგრძნია და მოედანზეც აღარ გასულა. ახლა შაკილი დღეში ორჯერ დაისხივებს მტკივან მუხლს და, სავარაუდოდ, 12 თებერვალს ითამაშებს „მინესოტას“ წინააღმდეგ. ოლ-სტარის გამოტოვებას კი სუპერცენტრმა „იმედგაცრუების ნაირსახეობა“ უწოდა. თან დასძინა, გული იმაზე მწყდება, რომ ჩემი ოჯახის წევრები კლივლენდში ჩამოდიან. მე კი ვერ ვითამაშებო. შაკილის შემცვლელად ნბა-მ „დალასის“ ფორვარდი კრის გეტლინგი დაასახელა.

## ...არც მურნინგი

„მაიამი ჰითის“ ცენტრმა ალონზო მურნინგმა მარჯვენა ქუსლის მყესები დაიჭიმა და დაკარგა შანსი გამხდარიყო პირველი მაიამელი, ვინც ოლ-სტარის ხუთეულში მოხვდებოდა. საქმე ის არის, რომ ადრე სათადარიგო მურნინგმა ხუთეულში დაშავებული პატრიკ იუინგის ადგილი დაიკავა, მაგრამ მერე თავადაც დაშავდა და იქით შეიქმნა შესაცვლელი. ოლ-სტარზე მის ადგილს დეტროიტელი ჯო დუმარსი დაიკავებს.

## ...არცა დრექსლერი

ჰიუსტონელი კლაიდ დრექსლერი ოლ-სტარს რომ გამოტოვებდა, წინა „სარბიელში“ გაუწყეთ. საქმე ის იყო, ვის შეარჩევდნენ მის მაგივრად. ბედმა „მინესოტას“ კევინ გარნეტს გაუღიმა.

გარნეტი 20 წლისა და 8 თვისაა. მასზე ახალგაზრდას ოლ-სტარი მხოლოდ დიდ მეჯიქ ჯონსონს უთამაშია. 1980 წელს ჯონსონი 20 წლისა და 5 თვის იყო.

### ევროლიგა
მე-14 ტური. 6 თებერვალი

**E ჯგუფი**

სტეფანელი (იტალია) — შარლერუა (ბელგია) 73:63, ცსკა (რუსეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 70:79, მაკაბი (ისრაელი) — ალბა (გერმანია) 78:62

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტეფანელი | 14 | 11 | 3 | 25 |
| ალბა | 14 | 8 | 6 | 22 |
| ოლიმპიაკოსი | 14 | 8 | 6 | 22 |
| მაკაბი | 14 | 8 | 6 | 22 |
| ცსკა | 14 | 7 | 7 | 21 |
| შარლერუა | 14 | 0 | 14 | 14 |

**F ჯგუფი**

ტიმსისტემი (იტალია) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 94:58, ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 68:70, ციბონა (ხორვატია) — ულქერი (თურქეთი) 82:81

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტიმსისტემი | 14 | 11 | 3 | 25 |
| ციბონა | 14 | 9 | 5 | 23 |
| ესტუდიანტესი | 14 | 8 | 6 | 22 |
| ლიმოჟი | 14 | 7 | 7 | 21 |
| ულქერი | 14 | 4 | 10 | 18 |
| პანიონიოსი | 14 | 3 | 11 | 17 |

**G ჯგუფი**

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — დინამო (რუსეთი) 71:67, ოლიმპია (სლოვენია) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 67:70, ვილერბანი (საფრანგეთი) — ელან ბერნე (საფრანგეთი) 67:65

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 14 | 11 | 3 | 25 |
| ვილერბანი | 14 | 10 | 4 | 24 |
| ოლიმპია | 14 | 9 | 5 | 23 |
| კსფ | 14 | 7 | 7 | 21 |
| ელან ბერნე | 14 | 5 | 9 | 19 |
| დინამო | 14 | 3 | 11 | 17 |

**H ჯგუფი**

ეფეს პილსენი (თურქეთი) — ბაიერი (გერმანია) 91:68, პარტიზანი (იუგოსლავია) — კროაცია (ხორვატია) 71:82, კინდერი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) 92:103

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეფესი | 14 | 11 | 3 | 25 |
| პარტიზანი | 14 | 8 | 6 | 22 |
| ბარსელონა | 14 | 7 | 7 | 21 |
| კინდერი | 14 | 6 | 8 | 20 |
| კროაცია | 14 | 6 | 8 | 20 |
| ბაიერი | 14 | 1 | 3 | 15 |

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**5 თებერვალი**

**მაიამი — ბოსტონი 118:117, ტორონტო — კლივლენდი 89:84, ფილადელფია — სან ანტონიო 113:97, იუტა — სიეტლი 99:95, დენვერი — ვაშინგტონი 106:104, ფინიქსი — ატლანტა 99:81, ლეიკერზი — ჩიკაგო 106:90**

**7 თებერვალი**

**შარლოტი — საკრამენტო 115:100, დეტროიტი — ჰიუსტონი 96:87, მაიამი — მილუოკი 102:90, ინდიანა — ნიუ ჯერსი 104:100, ნიუ იორკი — სან ანტონიო 96:84, ორლანდო — ბოსტონი 119:111, მინესოტა — ვანკუვერი 103:86**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 36 | 12 | 75,0 |
| ნიუ იორკი | 34 | 14 | 70,8 |
| ორლანდო | 24 | 20 | 54,5 |
| ვაშინგტონი | 22 | 25 | 46,8 |
| ნიუ ჯერსი | 13 | 33 | 28,3 |
| ფილადელფია | 12 | 34 | 26,1 |
| ბოსტონი | 11 | 35 | 23,9 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 42 | 6 | 87,5 |
| დეტროიტი | 34 | 12 | 73,9 |
| ატლანტა | 31 | 15 | 67,4 |
| შარლოტი | 29 | 19 | 60,4 |
| კლივლენდი | 25 | 22 | 53,2 |
| ინდიანა | 23 | 23 | 50,0 |
| მილუოკი | 21 | 26 | 44,7 |
| ტორონტო | 17 | 29 | 37,0 |
| **შუა-აღმოსავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 33 | 14 | 70,2 |
| ჰიუსტონი | 32 | 16 | 66,7 |
| მინესოტა | 23 | 25 | 47,9 |
| დალასი | 16 | 28 | 36,4 |
| დენვერი | 16 | 32 | 33,3 |
| სან ანტონიო | 11 | 34 | 24,4 |
| ვანკუვერი | 9 | 42 | 17,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერზი | 35 | 13 | 72,9 |
| სიეტლი | 32 | 15 | 68,1 |
| პორტლენდი | 25 | 23 | 52,1 |
| კლიპერზი | 19 | 25 | 43,2 |
| საკრამენტო | 21 | 28 | 42,9 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 29 | 37,0 |
| ფინიქსი | 17 | 31 | 35,4 |

## სამბო

# ქართველებმა ამერიკელებს ვერ მიართვეს

გუშინ გაიმართა საქართველოს სამბოს ფედერაციის ყრილობა. 1993-96 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიშით დელეგატებს წარუდგა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ექვთიმიშვილი. მან აღნიშნა, რომ ამ პერიოდში სამბისტებმა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე 19 ოქროს, 33 ვერცხლისა და 55 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მომავლის შესახებ კი პრეზიდენტმა ის თქვა, რომ წელს ოქტომბერში თბილისში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და ამას დიდი ყურადღების მიქცევა უნდა ქვეყნის ხელმძღვანელთა მხრიდან. თბილისშივე გაიმართება კონგრესი, რომელზეც სამბოს მსოფლიო ფედერაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. „მართალია, ამჟამად სამბო ოლიმპიური სახეობა არაა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონატია და თანაც იმედი გვაქვს, რომ 2004 წლის ოლიმპიადის პროგრამაში სამბოც იქნება" — თქვა ქართველ სამბისტთა პრეზიდენტმა.

საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებას თურმე ამერიკა და უკრაინა ეცილებოდნენ, მაგრამ ნოდარ ექვთიმიშვილი მაგრად დამდგარა, თავისი გაუტანია და ჩემპიონატიც გვარგუნა.

საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველმა სამბისტებმა მაღალი ადგილები ვერ დაიკავეს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენ გამოკითხვაში. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა განმარტა, რომ მიკერძოება ამ შემთხვევაში გამორიცხულია და რომ საუკეთესონი ჟურნალისტებმა პირადი შეხედულებით დაასახელეს.

კამათში გამოვიდნენ მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე შოთა ზუკაკიშვილი, მსოფლიოს ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილი, ქარელელი მწვრთნელი გიორგი დვალიშვილი, ვინც სამბოში 400 ბავშვი ჩააბა...

საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ ნოდარ ექვთიმიშვილი აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტად — ალბერტ კუხიანიძე, გენერალურ მდივნად — თენგიზ არაბული. ყრილობის ოფიციალური ნაწილი აქ დასრულდა, არაოფიციალური კი რესტორან „ნად კუროიში" გაგრძელდა და ის თბილი ურთიერთობა, რაც სამბოს ყრილობაზე სუფევდა, უფრო გათბა. მაგიდას ხუთი მსოფლიოს ჩემპიონი ამშვენებდა ვახტანგ ბალავაძის თამადობით...

**ერეკლე კიკილაშვილი**

# კასპელებმა იმარჯვეს

გუშინწინ თბილისში დასრულებულ საქართველოს თასის გათამაშებაში 112 სამბისტი მონაწილეობდა. გუნდური პირველი ადგილი კასპელებმა დაიკავეს, პირად პირველობაში გამარჯვებულნი კი ესენი არიან:

57 კგ. მამუკა მაზმიშვილი (ქარელი), 62. კახა მოცრაძე (თბილისი), 68. მიხეილ ფაცაშვილი (კასპი), 74. დავით ღუღუნიშვილი (ლაგოდეხი), 82. მამუკა ჯანაშვილი (კასპი), 90. ვანო არაბული (თბილისი), 100. იოსებ ახალბედაშვილი (გორი), მძიმე. ჯამბულ ხამხაძე.

## ჭიდაობა

# სპარსეთს მიდიან

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ახლახანს დაბრუნდა კრასნოიარსკიდან, სადაც ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა. ბიჭებმა ხეირიანი დასვენება ვერ მოასწრეს, რომ ირანელები შეეხმიანნენ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას — ირანის დიდ საერთაშორისო ტურნირზე (ასე უწოდებენ თავად ირანელები) მიიწვიეს ჩვენებურები. ეს ტურნირი „ა" კატეგორიისაა და მასში მუდამ უძლიერესი გუნდები და ტიტულოვანი ფალავნები ასპარეზობენ. ამდენად, ირანულ ხალიჩაზე გამარჯვება სასახელო საქმეა. ჩვენი ნაკრები 10-12 ფალავნით დღეს უნდა გაემგზავროს ირანს მთავარი მწვრთნელის ზაზა თურმანიძისა და მწვრთნელ გია გალდავას ხელმძღვანელობით.

გუშინ ჭიდაობის ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ ირანში წამსვლელებს დიდთოვლობამ შესაძლოა დაბრკოლება შეუქმნას. მცირე შეფერხებებია ვიზებთან დაკავშირებითაც, მაგრამ დაგვაიმედეს — ყველაფერი, ალბათ, კარგად იქნება და 10-12 კაციანი გუნდი 8 თებერვალს ირანს ეწვევაო.

**ლევან ჯაგახიშვილი**

## სახელი

# უკეთეს ნახტომს ნეტავ სად ნახავ,

## ამბობს ექსპერტი თორლიფ შელდრაპი



არიან ათლეტები, რომლებსაც დაულაშქრავთ ყველა უმაღლესი სპორტული მწვერვალი, თუ კი რამ დასაპყრობი იყო, მაგრამ მათი სახელები ისტორიის მხოლოდ ამა თუ იმ ასპარეზობათა ქრონოლოგიებს თუ შემოუნახავთ. არიან ისეთი ათლეტებიც, რომლებიც არც მსოფლიო ჩემპიონები ყოფილან, არც ოლიმპიური თამაშებისა, მაგრამ სპორტულ მატიანეში თავიანთი ღრმა კვალი დაუტოვებიათ. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ კობა წაქაძე, რომლის სახელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერც ქართული სპორტის მემატიანე, მეტადრე ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა და, ვერც მსოფლიოს სათხილამურო სპორტის მეისტორიე.



დღეს, როცა ტელეკრანის (სამწუხაროდ, მხოლოდ ტელეკრანის) საშუალებით თვალს ვადევნებთ თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა ფრენის ტექნიკას, ზოგჯერ გვგონია, რომ სპორტსმენები იმთავითვე ასე მიაპობდნენ ჰაერს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. ყველაფერს ჰყავდა და ჰყავს თავისი ფუძემდებელი და არც დღევანდელ „მფრინავ მოთხილამურეთა" ხტომის სტილია გამონაკლისი, ამ სტილის მებალავრე კი გახლავთ სწორედ ბაკურიანელი კობა წაქაძე, კაცი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში „თეთრი ოლიმპიადების" სათავეებთან იდგა და ეულად ეწეოდა საქართველოს წარმომადგენელთა მძიმე ჭაპანს კორტინა დ'ამპეცოს, სკვო-ველის, ინსბრუკისა და საპოროს ოლიმპიურ თამაშებზე.

კორტინაში, სადაც საბჭოთა სპორტსმენების ზამთრის ოლიმპიური დებიუტი შედგა, კობა წაქაძემ სამი ნახტომიდან ორჯერ თავი ვერ შეიმაგრა და დავარდა, თუმცა ფრენის სიგრძეში გამარჯვებულს 2,5 მეტრით ჩამორჩა. მაშინ წაქაძემ მხოლოდ 30-ე ადგილი დაიკავა, მაგრამ საპატიო კვარცხლბეკზე ასულთა ჩრდილში სულაც არ მოქცეულა. პირიქით, ქართველმა ჭაბუკმა მთელი მსოფლიოს სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და ქვეყანა აალაპარაკა. „ნიუ-იორკ თაიმზში" ერთი ცნობილი ნორვეგიელი სპეციალისტი, რომელიც მაშინ იტალიის ნაკრების მწვრთნელი იყო, წერდა: „წაქაძე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მხტომელია, სანამ 10 ფუტის მანძილზე დაუახლოვდება მიწას... მან ხტომის ახალი სტილი გამოიგონა და ალბათ არაფერი იცის ამის შესახებ. იგი საერთოდ არ ხრის ტანს, დგას გამართულად, მერე ნელ-ნელა უსწორდება თხილამურებს ისე, რომ ბოლოს სახესა და თხილამურებს შორის მანძილი 2 ფუტსაც არ აღემატება. ხტება შორს. ფრენის ხარისხი უმაღლესია და შთამბეჭდავი. ჩვენ მუდამ ვთვლიდით, რომ ადამიანი სწორედ ასე უნდა ხტებოდეს, მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასეთ ნახტომს ვნახავდი... წაქაძე უჩვეულოდ გამბედავია, საერთოდ კი იგი სასიამოვნო და გულღია ახალგაზრდაა, მუდამ იღიმება და კმაყოფილია. წაქაძემ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე, ვინც იმ დღეს ხტომებს დაესწრო".

ახლა „თაიმზში" გამოქვეყნებული ამერიკელი სპეციალისტის თორლიფ შელდრაპის სტატიიდანაც გავიხსენოთ ციტატა: „წაქაძემ თავისდაუნებურად ახალი სტილი შექმნა. წელში სრულიად არ იხრება. მოდუნებული სხეული ისეა დახრილი თხილამურებზე, რომ სახე მათ ორიოდე ფუტითაა დაშორებული. ამოსაკრავები წალებს ოდნავ იჭერს და მხოლოდ თითის წვერები ეხება თხილამურებს. უზარმაზარ მანძილზე ხტება და მისი ფრენა მშვენიერია".

კობა წაქაძის ნახტომებს აღუფრთოვანებია ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯონ აპდაიკი, ვინც კობა წაქაძეს ლექსი მიუძღვნა. ახლა გავიხსენოთ ამ ლექსის დალი ინწკირველისეული თარგმანიც:

წერწეტა ტანი მოსხლტა, ვით ტყვია
და გადმოეშხო თხილამურებზე
წელუდრეკელი მოფრინავს მთებზე
მოთხილამურეც ამასა ჰქვია!
მოსწყდა. აიჭრა ზეცაში სწრაფად,
ლამის თხილამურებს დააკვდეს სახით.
უკეთეს ნახტომს ნეტავ სად ნახავ,
ამბობს ექსპერტი თორლიფ შელდრაპი.
ცხვირწინ თრთის თლილი ხის
წყვილი წვეტი.
ზეცის ნათელში მოჩანს ვით სვეტი,
მკლავჩაშვებული, წელგამართული,
მას მკერდში უცემს გული ქართული.
შედუღებულან მუხლები მტკიცედ
და ისე ლაღად მიაპობს სივრცეს.
მხოლოდ ცერებით ეხება ფიცარს...
— ჩინებულია, გამჩენსა ვფიცავ!

ახლა ბევრმა მფრინავმა მოთხილამურემ თავადაც არ იცის, თუ ვის მიერ დანერგილი სტილით ხტება. დღეს ბევრს ეოლება გაკვალულ ბილიკზე სიარული...

კობა წაქაძე ამბობს:

„ჩვენს დროს სპორტის ეს სახეობა ძალზე სახიფათო იყო. აბა, როგორ შეიძლებოდა, რომ საბჭოთა სპორტსმენი ასპარეზობისას ან ვარჯიშისას სერიოზულად დაშავებულიყო, მით უმეტეს დაღუპულიყო! არადა, არც ისე იშვიათად, ნახტომი სიკვდილითაც თავდებოდა, მაგრამ ასეთ ტრაგიკულ შემთხვევებს ასაიდუმლოებდნენ და, რა თქმა უნდა, არც გაზეთები წერდნენ. მაშინ ჩვენ, ჩაფხუტს ვინ ჩივის, საერთოდ უქუდოდ, უსათვალოდ, შალის სვიტერითა და ორჯერ მძიმე თხილამურებით ვხტებოდით. ახლა სპორტის ეს სახეობა უხიფათო გახდა. სპორტსმენები უთუოდ სათვალით, ჩაფხუტითა და კომბინიზონით ხტებიან. ეს კომბინიზონები ერთგვარად პარაშუტის მოვალეობასაც ასრულებენ. მასში შემავალი ჰაერის ნაკადი 50 დეკალიტრია, ხოლო გამომავალი — 25. უხიფათო კონსტრუქცია მიიღეს თხილამურებმაც და 12-დან 6-7 კილოგრამამდე შემსუბუქდნენ კიდეც. მაშინ კი ეს ყველაფერი არც დაგვესიზმრებოდა."

აი, ამიტომაც არის, რომ კობა წაქაძის თხილამურების კვალი წარუშლელად დარჩენილა. მის მიერ დანერგილი სტილის გამო კობა წაქაძეს „მფრინავი ტორპედოც" შეარქვეს. დიდხანს ასე მოიხსენიებდნენ. მერე, წლები რომ გავიდა და გავიდა, უბერებელიც შეარქვეს.

მართლაც უბერებელი სპორტსმენი გახლდათ. თავის ბოლო ოლიმპიურ თამაშებში რომ გამოვიდა, ოცდათვრამეტისა იყო. უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც დასავლეთ გერმანიაში გაიმართა, ორმოცი წლისამ იასპარეზა, 167 მეტრზე გადახტა და IX ადგილი დაიკავა. იქიდან დაბრუნებული სახალინის პრიზისთვის ბრძოლაში ჩაება და გაიმარჯვა. მერე საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, საკავშირო თასიც მოიგო, ბოლოს „ჩრდილოეთის დღესასწაულის" პრიზიც დაიმსახურა, შინ ასეთი მდიდარი ნადავლით დაბრუნდა და როგორც თავად ამბობს, თხილამურები საბოლოოდ მიაყუდა კედელს.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა სულ პატარა ბიჭი იყო. როგორც ყველა ბაკურიანელი ბავშვი, კობაც ლამის ფეხის ადგმამდე შედგა თხილამურებზე.

— მაშინ ოთხიოდე წლისა ვიყავი, — იხსენებს კობა წაქაძე — როცა სკოლაში დავიწყე სიარული, ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი არამც ადამიანცი მავარჯიშებდა. მერე სპორტსკოლაში ნიკოლოზ მიქაბერიძესთან დავიწყე სიარული. სათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში ვვარჯიშობდი, მაგრამ ტრამპლინიდან ხტომა მაინც ყველაფერს მერჩივნა. მეც და ჩემი მეგობრებიც საბჭოთა ნაკრების წევრთა ნახტომებს შევნატროდით. ეს სახეობა თავიდანვე უფრო ვაჟკაცური გვეჩვენებოდა და ჯერ კიდევ თითისტოლა ბიჭები ბორცვებზე ხტომით ვემძლავყინწობდით. დავიჟინე, ნამდვილი ტრამპლინიდანაც გადმოვხტები და ყველას უნდა ვაჯობო-მეთქი. მართლაც, მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გავხდი და უფროსების კონკურენციაშიც სერიოზულად ჩავები. პირველ დიდ წარმატებას მოსკოვის მახლობლად, იახრომაში მივაღწიე — მიქაბერიძემ მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე წამიყვანა და გავიმარჯვე. ეს მით უფრო გამიხარდა, რომ იქ საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები გამოდიოდნენ. იმავე წელს საკავშირო ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დავიკავე და ნაკრებშიც საბოლოოდ დავიმკვიდრე ადგილი. მანამ 40 წლის არ გავხდი, ის ადგილი ვერც ვერავინ დამატოვებინა და არც მე მიმიტოვებია.

— მაგრამ გრენობლის ოლიმპიადა ხომ გამოტოვეთ? — ვეკითხებით კობა წაქაძეს.

— რას იზამთ, საკავშირო ნაკრებში რამდენი უფროსი მწვრთნელიც მოვიდა, ყველა თავის საქმიანობას იმით იწყებდა, რომ როგორმე გუნდი დამეტოვა. ამ მხრივ გამოირჩეოდა გროგისი, რომელსაც საერთოდ კავკასიელები გულზე არ ეხატებოდა, განსაკუთრებით ქართველებს ვერ იტანდა. დიდად არც სხვებს ვეპიტნავებოდი და ჩემი ავტორიტეტი ლამის ყველას ალიზიანებდა. მათ ქართველებზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, თითქოს ყველანი ყვავილებისა და ვაშლების გამყიდველები ვიყავით და იმათ ჯიბეებს ჩვენ ვაცარიელებდით. ჰოდა, გაკვირვებულნი კითხულობდნენ, ნეტა ამ ქორვაჭრემა ეს მოხტუნავე კაცი სადღა გამოჩხრიკესო.

— მერე კიდევ მოსკოვში ძალზე დიდი მოთხოვნილება იყო ავტოგრაფებზე. ამრავლებდნენ და ამრავლებდნენ ჩვენს სურათებს და მათზე გაუთავებლად ხელს გვაწერინებდნენ. ახლაც ვერ გამიგია, სად მიჰქონდათ იმდენი სურათი. ასე იყო თუ ისე, მე ქართულად ვტოვებდი ავტოგრაფს. ამაზე ან სულ მთლად გიჟდებოდნენ, ეს წაქაძე რა თეთრი ყვავია, ხელს ქართულად რომ აწერსო. ასეთი დამოკიდებულების გამო გრენობლის ოლიმპიადაზე ველარ მოვხვდი.

და მაინც, კობა წაქაძემ ოთხ ოლიმპიურ თამაშზე იასპარეზა, ამ მხრივ საბჭოთა მფრინავ მოთხილამურეთა შორის და საერთოდაც რეკორდსმენი გახდა ტრამპლინიდან ხტომაში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კი მის გარდა ამდენჯერ საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ სამთო მოთხილამურე ალევტინა კოლჩინასა და მოციგურავე ევგენი გრიშინს უასპარეზიათ. გამოდის, რომ ნაკრების ხელმძღვანელობა მაინც წყალობდა ქართველ სპორტსმენს.

— მეტი რა გზა დარჩენოდათ, როცა შესარჩევ შეჯიბრებებზე ვიმარჯვებდი? — გვეკითხება ამაზე კობა წაქაძე.

მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ახლებური, გაბედული სტილის ნახტომების ფუძემდებელმა, ოთხგზის ოლიმპიური თამაშებისა და რვაგზის მსოფლიო ჩემპიონატებში მოასპარეზემ ამ პაექრობებში საპრიზო ადგილები ვერ მოიპოვა. ოლიმპიადებში მისი საუკეთესო შედეგი მეცხრე, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატებზე მეოთხე ადგილი იყო მაშინ, როცა სხვა საბჭოთა „მფრინავი მოთხილამურეები" მსგავს პაექრობებში თითო-ოროლჯერ თუ გამოდიოდნენ, მაგრამ მედლების ხელის გამოკვრას ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ. არადა, ისინი კობა წაქაძეს ბაძავდნენ, მის მიერ დამკვიდრებულ ხტომის სტილს ითვისებდნენ და კიდევ ბევრ რამეს სწავლობდნენ.

ზემოთ ცნობილი ნორვეგიელი სპეციალისტის კობა წაქაძისადმი თქმული სახოტბო სიტყვები რომ გავიხსენეთ, მაშინ იგი ამასაც ამბობდა: „რამდენიმე წლის მერე, როცა წაქაძე ნორმალურად დაშვებას ისწავლის, დაუმარცხებელი მხტომელი იქნება".

სამწუხაროდ, წაქაძისთვის „ნორმალური დაშვება" აქილევსის ქუსლად იქცა.

— ყოველივე ამის მიზეზი საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელთა ჩემდამი დამოკიდებულება იყო, — იხსენებს წაქაძე — სულ ბოლო მომენტამდე არ ვიცოდი, სარბიელზე გამიშვებდნენ თუ არა. მთელ ოლიმპიურ ნაკრებში საქართველოს ერთადერთი ქართველი წარმოვადგენდი და ჩემი პატრონი არავინ იყო, რომ ვინმესთვის შემეჩივლა. ასეთი ფსიქოლოგიური დათრგუნვით კიდევ ბევრს მივაღწიე, ისევ ჩემი ჯიღიანი ხასიათის წყალობით. დღევანდელ დღეს რომ მოვსწრებოდი, როგორც სპორტსმენი, გაცილებით მეტს მივაღწევდი და ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა. ახლა მთავარი ის არის, რომ ამ დღეს ჩვენი შვილები მოესწრნენ. ისინი ოლიმპიადებზე ჩემსავით მარტო არ იქნებიან.

მარტო არ იქნებიან, მაგრამ ჩვენს შვილებს ეკონომიკური გაჭირვების გამო ცუდი დრო დადგომიათ. რაღა თქმა უნდა, მათ შორის კობა წაქაძის შვილი კახაც არის.

მამამ შვილს თავის დროზე სიმბოლური ესტაფეტა გადასცა — 1961 წელს მამა პირველად გამართული საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი იყო, ხოლო შვილმა გამარჯვებით დაუსვა წერტილი ამგვარი ასპარეზობების დასასრულს, როცა 1990 წელს მამასავით ჩემპიონი გახდა ბოლო სპარტაკიადაზე. იმავე წელს შვილმა სსრ კავშირის უკანასკნელ ჩემპიონატშიც გაიმარჯვა და საკავშირო თასის ბოლო გათამაშებაშიც ყველას აჯობა. შვილს იქნება ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებშიც გამოეჩინა თავი, მაგრამ უსახსრობის გამო 1990 წლიდან 1993 წლის 20 ნოემბრამდე მხოლოდ ორ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვიდა. საბოლოოდ, 1990 წლიდან მოყოლებული ოლიმპიადამდე კახას 138 ნახტომი ძლივს დაუგროვდა თოვლზე, ხოლო ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე — 200. არადა, მისი მეტოქეები ამგვარი ტრამპლინიდან სულ ცოტა 1400-1500-ჯერ გადმომხტარიყვნენ...

კახა წაქაძე ახლაც ასეთივე გასაჭირშია, მაგრამ იმედოვნებენ, რომ იგი ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას მაინც მოიპოვებს. ვინ იცის, იქნებ იგი მამასავით ოთხგზის ოლიმპიელი გახდეს, მაგრამ ყველაზე მეტად ის გაგვიხარდება, თუ შვილი აჯობებს მამას და ოლიმპიურ მედალს მოიპოვებს.

მანამდე კი...

მანამდე კობა წაქაძე საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ამას წინათ, როცა ოლიმპიურ მუშაობაში განსაკუთრებული წვლილისთვის თავისი უმაღლესი ჯილდოთი — საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

**ავთანდილ ბურახაშვილი**

# უცხოური რაგბის კრიალოსანი



ახლოვდება 28 თებერვალი — სამხრეთი ნახევარსფეროს პროვინციათა ჩემპიონატის — ზე-12-ის სტარტი. ამ ტურნირის მონაწილე ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და სამხრეთი აფრიკის გუნდები 12 კვირის მანძილზე მიმოსვლით ითამაშებენ. მერე გაიმართება ნახევარფინალები, ფინალი კი 31 მაისისთვისაა დანიშნული.

ზე-12-ის შარშანდელი ჩემპიონი ზელანდიის ოქლენდია. სეზონს იგი ევროპული მინი-ტურნეთი გახსნის. ინგლისის მოხილვის შემდეგ „ლურჯები" საფრანგეთშიც შეივლიან. იქ მათთან უნდა ეთამაშა ევროპის თასის შარშანდელ მფლობელ „ტულუზს", მაგრამ ამ კლუბმა ახლა მოუცლელობა მოიმიზეზა და სამხრეთელ სტუმართან თამაშის პატივი დაუთმო „ბრივს", ევროპის საკლუბო თასი ამ ორი კვირის წინ რომ მოიპოვა.

ბრივ — ოქლენდის მატჩი კვირას, 23 თებერვალს გაიმართება. გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონ კლუბად გამოცხადდება. საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე ერთი პირობა ამ მატჩის გამართვის წინააღმდეგი იყო, რაკი მის ამალაში კვლავაც დიდი შინაომი მიმდინარეობს. ბოლოს პრეზიდენტი მოლბა, მაგრამ თამაშის ნეიტრალურ მოედანზე — ნანტში ან ლილში გამართვა მოითხოვა, ესაო და თუ დიდ რაგბს ვამასპინძლებინებთ, მაშინ ქვეყნის ამ კუთხეებშიც შეიყვარებენ ჩვენს თამაშსო. ეს იმიტომ, რომ საფრანგეთში რაგბი დღესაც უპირატესად სამხრეთშია გავრცელებული.

ოქლენდმა შარშანდელ ფინალში დურბანის (სამხრეთი აფრიკა) ნატალი დაამარცხა. ამისა და ქვეყნის ნაკრების კოლორიტულმა და უწესო გარემარბმა, 28 წლის ჯეიმზ სმოლმა (36 ტესტი, 14 ლელო) შინ — ქეიფთაუნში დაბრუნება მოინდომა: კაცი აქეთ-იქით წანწალში დავბერდი; დურბანშიც რაგბის გადამკიდე წელიწადში ოთხ თვეს თუ ვატარებ; დროა, ოჯახს მოვეკიდოო, მაგრამ ნატალმა არ დაანება: მისი რაგბის კავშირის მთავარმა მოხელემ — ბრიან ფანზილმა ბრძანა, სმოლს ჩვენთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აქვს გასანაღდებელი; მისი ბადალი მოთამაშე არა გვყავს, ამიტომ ვერსად გავუშვებთო.

აფრიკული რაგბის კანონებით ქეიფთაუნის დასავლეთ კონცხს, შინაური მარცხის გამო წელს რომ ველარ მოხვდა ზე-12-ში და იქ ნარინჯს (ბლუმფონტეინი) დაუთმო ადგილი, ნატალისთვის 250 ათასი რანდი (54 500 ამერიკული დოლარი) უნდა გადაეხადა. იგივე სატრანსფერო თანხა მიიღო ნარინჯმა, ვინაც ნაკრების ფლანკერი ანდრე ფენტერი გაუშვა იოჰანესბურგის ტრანსვაალში.



სმოლი ოჯახს უნდა მოეკიდოს, მაგრამ შინ არ უშვებენ

ქვინზლენდი მოულოდნელად გააძლიერა 13-კაცა, ლიგის რაგბის ახალი, მედიის მოგულ რუპერტ მერდოქის ფულით დაფინანსებული სუპერ-ლიგის კლუბ „ბრისბენ ბრონკოუზიდან" დათხოვილმა გარემარბმა ვილი ქარნმა. ამ 28 წლის მობურთალს მსოფლიოს უცვლელი ჩემპიონის — ავსტრალიის „კენგურუების" შემადგენლობაში 9 ტესტი უთამაშია და 10 ლელო გაუტანია, მაგრამ წელს კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. რაკი ბრისბენიდან სხვაგან გადასვლა არა სურს, ქარნი ლიგიდან რაგბში გადავიდა, მაგრამ გვარიანად იზარალა: თუ 13-კაცაში 500 ათასი ავსტრალიური დოლარი ერგებოდა, 15-კაცა რაგბში ოდენ 80 ათასს მისცემენ.

კონტრაქტი, ტრანსფერი, სასამართლო და მისთანები კეთილშობილ რაგბში შარშან შეჭრილმა პროფესიონალობამ მოიტანა. რაგბში ფული მანამდეც ტრიალებდა, ოღონდაც არალეგალურად. ერთი კვირის წინ 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ახალი სამხრეთი უელსის ყოფილ აღმასრულებელ დირექტორ კენ ელფიკს. მას 25 ბრალდება წაუყენეს. სიდნეის დასავლეთ გარეუბანში უჭკუოდ აშენებული „კონკორდ



„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

გამოენახათ, ფინანსურად ვინმე უნდა მიხმარებოდა. ჰოდა, ელფიკისეული გასამრჯელო ყოველ ჯერზე 500-3000 დოლარის ფარგალში ყოფილა.

31 იანვარს მსგავსი ფაქტები გათქვა სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის თავკერძა პრეზიდენტმა, დოქტორმა ლუი ლეიტმაც. კავშირის წლიურ ყრილობას მან გაუმხილა, რომ 1995 წლის მერე ნახევარში 57 მილიონი რანდი (12,5 დოლარი) მოხმარებია ე. წ. რაგბის მსოფლიო კორპორაციასთან ბრძოლას.

დოქტორმა ლეიტმა მსოფლიო ჩემპიონთა სულების საყიდლად ფული არ დაიშურა და მსოფლიო რაგბი დაქცევას გადაარჩინა

ეს თვითმარქვია ორგანიზაცია საერთაშორისო რაგბს დაქცევას უქადდა — მოთამაშეთა ნაღების გადაბირებით ქმნიდა პროფესიულ ცირკს. ერთი პირობა, წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლეიტმა 24 მილიონად დაიბევა მსოფლიოს ჩემპიონი 27 „ქურციკის" მხარდაჭერა, პროვინციებს კიდევ 33 მილიონი გა-

ისინი იქ 13 მატჩს გამართავენ — ეთამაშებიან 9 [illegible] პროვინციას, ახალგაზრდულ ნაკრებსა და, რა თქმა უნდა, „ქურციკებსაც" სამ ტესტში [illegible] დურბანსა და [illegible] 21 და 28 ივნისს და 5 ივლისს.

ამთავითვეა ცნობილი, რომ „ლომებს" ტურნეზე არ ეყოლებათ ინგლისის ნაკრების ექს-კაპიტანი, 31 წლის ვილ ქარლინგი. წინა კვირაში მან „ლომთა" მენეჯერ ფრენ ქოთონს აცნობა, რომ ამდენმა რაგბმა დაღალა; განვლილი გზისთვისაც თვალის გადავლებას აპირებს. ამიტომ არდადეგებზე დასვენება სურს და არა ფრიად დონეზე ისევ და ისევ რაგბის თამაში.

მალე გაირკვა ქარლინგის განდგომის მიზეზი. მას აქეთ, რაც ჭორიკანა პრესამ — მერდოქის „სანმა" შარშანწინ პრინცესა დაიანას მიჯნურობაში ამხილა, ვილს გაექცა ცოლი — ტელევიზიის წამყვანი ჯულია. ახლა ქარლინგს გერლ-ფრენდად დაუთრევია ვინმე ალი ქოქიენი, ვინაც ფეხბურთელ გარი ლინეკერის ცოლისდა ყოფილა. ვილი თურმე მასთან ერთად აპირებს ამ ზაფხულს დასვენებას.



იმასაც ამბობენ, რომ ქარლინგი ალის ცოლად მოიყვანს. მაშინ ისე გამოვა, რომ ინგლისის ფეხბურთისა და რაგბის ნაკრებების კაპიტან-ყოფილნი დაქვისლდებიან.

აი, დიდი ადამიანები კი უსახელოდ კვდებიან! 73 წლისა აღესრულა ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ჯონ ბერჯესი. იგი ვერაფერი სპეციალისტი იყო, გუნდიც მაჩანჩალა ჰყავდა — 1974-75 წლებში გამართული 7 ტესტიდან ინგლისმა 6 წააგო და ოდენ შოტლანდია ძლია, ისიც 7:6, მაგრამ ჯონი მაინც იშვიათი ვინმე ყოფილა და აი, რატომ:

ამ კაცს თურმე სასწაულად ჭეროდა პატრიოტიზმი და თავდადება. ჰოდა, წესად ჰქონია თამაშის წინ სათითაოდ ყველა მოთამაშის მოკითხვა: დაუვლიდა, გადაეხვეოდა, მკერდში მჯიღსა კრავდა, მერე კვართზე გამოსახულ ვარდზე თითს დაადებდა და მორაგბეს კითხავდა, მითხარ, თუ რას ნიშნავს შენთვის ინგლისის სახელით თამაშიო.

# ახალი დროის კანონებით

სმოლის მსგავს წინააღმდეგობას გადაეყარა ბრისბენის (ავსტრალია) ქვინზლენდის გარემარბი დამიენ სმითი, ვისაც პირადული მიზეზების გამო სიდნეის ახალ სამხრეთ უელსში სურს თამაში, მაგრამ ქვინზლენდთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. სმითი სიდნეიში გადაბარგდა და ვარჯიშიც დაიწყო, მაგრამ ქვინზლენდმა სასამართლოში უჩივლა. საქმეში ავსტრალიის რაგბის კავშირი ჩაერია და კომპრომისი მონახა: წელს სმითი ქვინზლენდში ითამაშებს, გაისად კი მეტოქე შტატში გადასვლა შეეძლება.

ოვალის" საქმეებიდან ელფიკს 600 ათასი ავსტრალიური დოლარის „მოტეხვა" დაუმტკიცდა. მსჯავრდებულის თქმით, ამ ფულის ნაწილი 1980-იანი წლების მიწურულს მოხმარებია ეროვნული ნაკრების — „ვოლაბების" 40 წევრს. მათ ვინაობას არ ამხელენ, რათა მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონებს, ლამის ეროვნული გმირები რომ არიან, რეპუტაცია არ შეელახოთ. იმ ხანაში „მოყვარული მორაგბეებისთვის" ფულის საჯაროდ ძლევა არ შეიძლებოდა, მაგრამ ამათ უმაღლეს დონეზე თამაშისათვის აუცილებელი სავარჯიშო დრო რომ მოუყო მორაგბეთა საშუალო ფენის დასაბმელად.

რაკი კორპორაცია სამხრეთ აფრიკაში დამარცხდა და გლობალური გეგმები ჩაეფუშა, ავსტრალიასა და ზელანდიაში თავადვე გამოაცხადა კაპიტულაცია. ამის გამო თუ დაიტრაბახა დოქტორმა ლეიტმა, მსოფლიო რაგბი ჩვენ — აფრიკელებმა ვიხსენითო!

ზე-12 დასრულებული არ იქნება, სამხრეთ აფრიკას 1980 წლის შემდეგ პირველად რომ ეწვევიან „ბრიტანელი ლომები" (ოთხი ბრიტანული ქვეყნის ნაკრები).

# მთის თხილამურები

## მსოფლიოს 25-ე პირველობა

SESTRIERES '97

F I/S

იტალიის ალპურ დაბა სესტრიერეში ჩემპიონატი გახურდა, მაგრამ ორგანიზატორები ცოტა არ იყოს ნირწამხდარი ჩანან. საქმე ისაა, რომ შეჯიბრს ერთობ აკლია მაყურებელი. იტალიელთა ფავორიტი ალბერტო ტომბა სლალომისა და გიგანტური სლალომის სპეციალისტია, ეს სახეობები კი მასპინძლებს ჩაროზად — ბოლო დღეებისთვისა აქვთ შემონახული. ამის გამოა, რომ სესტრიერეს შემოგარენის დუქნებისა და ჯიხურების მეპატრონეები ღელავენ — მუშტარი ცოტაა, საქონელი გაუყიდავი რჩება. ერთ იქაურ გაზეთს კიდეც დაუწერია, ასე რომ გაგრძელდეს, რეგიონი ეკონომიკურ კატასტროფას განიცდისო.

## კომპანიონი

„ლა ბომბა" ტომბა 12 თებერვლამდე უქმობს. ამასობაში მას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. იგია 26 წლის დებორა კომპანიონი, ვინაც ოთხშაბათ ღამით ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მეოთხე ოქროს მედალი მოიგო.

### 5. II. ქალთა სლალომი

I ცდაზე 65 კარი, II-ზე — 62; სიმაღლეთა სხვაობა 180 მეტრი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 დებორა კომპანიონი (იტალია) | 1.43,88 | 52,67 | 51,21 |
| 2 ლარა მაგონი (იტალია) | 1.45,15 | 53,08 | 52,07 |
| 3 კარინ როტენი (შვეიცარია) | 1.45,48 | 52,62 | 52,86 |
| 4 პატრისია შოვე (საფრანგეთი) | 1.45,70 | 53,31 | 52,39 |
| 5 ელფი ედერი (ავსტრია) | 1.45,98 | 52,70 | 53,28 |
| 6 ჰილდე გერგი (გერმანია) | 1.46,09 | 53,80 | 52,29 |
| – | | | |
| 39 სოფიო ახმეტელი (საქართველო) | 2.06,91 | 65,16 | 61,75 |

კომპანიონი უფრო გიგანტური სლალომის ოსტატადაა ცნობილი: ამ სახეობაში ბოლო ოლიმპიადაზე (ლილეჰამერი, 1994) და მსოფლიო ჩემპიონატზე (სიერა-ნევადა, 1996) გაუმარჯვია, წელს მის მსოფლიო თასს ლიდერობს და ალბათ კიდეც მოიპოვებს. მსოფლიო თასზეც აქამდე ერთადერთი სლალომი მოუგია — ზემერინგში (1996, შობის კვირაში).

ტრასა ერთობ მოყინული იყო. პირველი ცდის შემდეგ კომპანიონი მხოლოდ როტენთან აგებდა, ისიც 0,05 წამს, საბოლოოდ კი დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მისმა თანამემამულემ — 28 წლის მაგონიმ, ვისაც მსოფლიო თასზე ეტაპი არასოდეს მოუგია, პირველი ცდის შემდეგ კი ოდენ IX ადგილზე იყო, ჯამში მაინც მეორე ადგილი დაიჭირა. როტენმა მსოფლიო თასზე ბოლო ოთხ ეტაპზე ფინიშს ვერ უწია, სესტრიერეში კი ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა.



ფავორიტებად მიმდინარე მსოფლიო თასის სამ-სამი ეტაპზე გამარჯვებულები — პერნილა ვიბერგი (შვედეთი) და კლაუდია რიგლერი (ავსტრია — ახალი ზელანდია) მიიჩნეოდნენ. პირველი ცდის შემდეგ შარშანდელი ჩემპიონი ვიბერგი IX ადგილზე იყო, რიგლერი — V-ზე, მაგრამ მეორე ცდაზე ორივეს კარი გამორჩა. ასეთივე მარცხი შემთხვა მოწინავე ექვსეულის კიდევ ორ წევრს — საბინე ეგერს (ავსტრია) და მარლის ესტერს (შვეიცარია).

ამის შემდეგ საპატიოდაც კი მოგვეჩვენება ნორჩი სოფიო ახმეტელის 39-ე ადგილი. მან რუმინელ ბასტინარუს და ებრაელებს — ცუელასა და ვოლხაფიცერს ჯამური დროით აჯობა, კიდევ 28 მონაწილეს კი იმის წყალობით, რომ ამათი შედეგები საბოლოო ცხრილში ვერ მოხვდა.

კომბინაცია (ანუ დაშვებისა და სლალომის ჯამი) თანამედროვე ალპური თხილამურების იმიჯის უსუსტეს ადგილად ითვლება. საყოველთაოდ გავრცელებული აზრია, რომ იგი ხელოვნურადაა შეთითხნილი. მონაწილეებიც მას ოდენ სავარჯიშოდ იყენებენ. არადა, იყო დრო, როცა კომბინაცია დიდ პატივში ჰყოლიათ.

იგი 1928 წელს მოუგონია ბრიტანელს — სერ არნოლდ ლანს. 1936 წელს, გარმიშის ზამთრის ოლიმპიადაზე სამთო მოთხილამურეთა ერთადერთი მედალიც ამ დისციპლინაში გათამაშებულა, მაგრამ მას აქეთ, რაც 1967 წელს მსოფლიო თასის გათამაშება დაწესდა, კომბინაცია დაკნინდა. იგი მხოლოდ 1988 წლის კალგარის ოლიმპიადისათვის აღადგინეს, ისიც ამერიკული ტელე-არხების დაჟინებით. ამათ შემოსავლის გასაზრდელად მეტი სანახაობა ჭირდებოდათ.

ბოლო წლებია, ტელევიზიისავე მოთხოვნით კომბინაცია — ერთი დაშვება და სლალომის ორივე ცდა — ერთ დღეს იმართება. სესტრიერეში პირველი სლალომის დაწყება ისე დაგეგმეს, რომ სასადილოდ დამსხდარ იტალიურ ოჯახებს მისთვის ტელევიზორებით ცოცხლად ედევნებინათ თვალი.

თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) გენერალური მდივანი, შვეიცარელი ჯან-ფრანკო კასპერი ამასაც არ ჯერდება და კომბინაციაში ე. წ. აგრესიული სლალომის ჩართვას გეგმავს. ამ შემთხვევაში მონაწილენი სლალომში სამჯერ ცდიან ძალას, ჯამში კი ოდენ ორი უკეთესი შედეგი ჩაეთვლებათ.

ფავორიტებად ამ სახეობაშიც ნორვეგიელები და ავსტრიელები მიიჩნეოდნენ, მით უფრო, რომ აღარ ასპარეზობს 33 წლის ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი. ამ კაცს ხუთჯერ მოუგია მსოფლიო თასი, გაუმარჯვია მის 46 ეტაპზე, კომბინაციაში სამჯერ — 1987, 1989 და 1996 წლებში ყოფილა მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ დეკემბერში ვალდიზერში კვლავ რომ დაშავებია 13-გზის (!!) ნაოპერაციევი მუხლები, დიდი სპორტიდან წასვლა გადაუწყვეტია.

## ომოდტი

მიმდინარე მსოფლიო თასზე კომბინირებული გამარჯვებულის გამოვლენა ორჯერ მოხერხდა — შამონისა და კიცბიუელში. პირველგან ნორვეგიელ ხეტილ-ანდრე ომოდტს ავსტრიელმა გიუნთერ მადერმა აჯობა, მეორეგან — მისმავე თანამემამულე ლასე ხიუსმა.

### 6. II. ვაჟთა კომბინაცია

ჯამი, დაშვება, I სლალომი, II სლალომი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) | 3.10,40 | 1.37,37 | 48,00 | 45,03 |
| 2 ბრუნო კერნენი (შვეიცარია) | 3.10,68 | 1.37,62 | 47,51 | 45,55 |
| 3 მარიო რაითერი (ავსტრია) | 3.11,69 | 1.39,67 | 47,12 | 44,90 |
| 4 კრისტიან მაიერი (ავსტრია) | 3.11,80 | 1.38,48 | 47,77 | 45,55 |
| 5 ლასე ხიუსი (ნორვეგია) | 3.12,12 | 1.37,62 | 47,38 | 47,12 |
| – | | | | |
| 22 ზურაბ ჯიჯიშვილი (საქართველო) | 3.35,87 | 1.43,62 | 56,06 | 56,19 |

25 წლის ომოდტი უნივერსალი და მიმდინარე მსოფლიო თასის ლიდერიცაა. კარიერის მანძილზე ოთხ დისციპლინაში 13 ეტაპი აქვს მოგებული. 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიხვეჭა. ბოლო ორ ოლიმპიადაზე თითო ოქრო და ბრინჯაო და ორი ვერცხლი აქვს მოპოვებული.

დაშვების შემდეგ ლიდერობდა ავსტრიელი ვერნერ ფრანცი, მაგრამ სლალომის პირველსავე ცდაზე გავარდა. მეორე ცდის წინ ხიუსი ნახევარ წამზე მეტს უგებდა ომოდტს, მაგრამ შეცდა და V ადგილამდე ჩამოქვეითდა. ჩვენს ჯიჯიშვილზე დაბლა ცხრილში კიდევ სამი მონაწილეა — დანიელი, ბელგიელი და ირლანდიელი, საბოლოო ცხრილში სხვადასხვა მიზეზის გამო მოუხვედრელი 29 მოთხილამურის კომპანიაში კი მეორე ქართველი — დავით ნასყიდაშვილიცაა.

დღეს ჩემპიონატის თვალ-მარგალიტი — ვაჟთა დაშვებაა. იგი ჩვენი დროით დღის 4 საათზე იწყება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29